



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების  
სამსახურის უფროსი  
HEAD OF STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

№ 46949

14 / 04 2021წ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ბატონ არჩილ თალაკვაძეს

ბატონო არჩილ,

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 171-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ანგარიშს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის საქმიანობის შესახებ.

დანართი: 51 (ორმოცდათერთმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი

გრიგოლ ლილუაშვილი

საქართველოს პარლამენტის აპარატი  
საქმისწარმოების დეპარტამენტი  
შემოს.№ 1-4905/21  
"14" 04 2021წ. ფურც. 52



საქართველოს სახელმწიფო  
უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში

2020 წელი



## წინასიტყვაობა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მთავარ მიზანს ქვეყნის წინაშე არსებული შიდა და გარე საფრთხეების გამოვლენის, პრევენციისა და მათზე სათანადო რეაგირების გზით, სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.

ქვეყანაში უსაფრთხო, სტაბილური და მშვიდობიანი გარემოს უზრუნველყოფა არაერთ მნიშვნელოვან გამოწვევას უკავშირდება.

ანგარიშში წარმოგიდგენთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2020 წელს განხორციელებულ საქმიანობას. დოკუმენტში ასევე შეჯამებულია გასული წლის ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები.

2020 წელს საქართველოს ეროვნული ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების აქტიურობა კვლავ მთავარი გამოწვევა იყო. დაფიქსირდა ფარული ოპერაციების, კიბერშესაძლებლობებისა და ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენების მცდელობა პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვა სახის ზეგავლენის ბერკეტების მოსაპოვებლად.

საქართველოს სახელმწიფოსთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს კვლავ რუსული ოკუპაცია, ოკუპირებული ტერიტორიების მზარდი მილიტარიზაცია და ადგილზე მიმდინარე სამხედრო წვრთნები წარმოადგენს.

შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონებში რუსეთის ფედერაციის ექსპანსიური პოლიტიკა აფერხებს ქვეყნის სტაბილურ განვითარებას და ხელყოფს როგორც საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების, ასევე ევროპის უსაფრთხოებას.

რეგიონში განვითარებულმა პროცესებმა გავლენა მოახდინა ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაზე. განსაკუთრებული გამოწვევა იყო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განვითარებული საზღვრული მოქმედებები. შექმნილ კრიზისულ ვითარებაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას საქართველოში მშვიდობის შენარჩუნება და მოქალაქეების უსაფრთხო თანაცხოვრების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

ახალი კორონავირუსის პანდემიამ არსებითად შეცვალა მსოფლიო მასშტაბის პროცესები. ჯანდაცვის სისტემების, სოციალური სფეროს, ეკონომიკისა და საერთაშორისო პოლიტიკის

გარდა, პანდემიამ გავლენა იქონია ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზეც, როგორცაა ეროვნული და გლობალური უსაფრთხოება.

საქართველოსთვის, ისევე როგორც დასავლეთის არაერთი სახელმწიფოსთვის, მზარდ საფრთხედ იკვეთება ცალკეული ქვეყნების მიერ „ჰიბრიდული ომის“ წარმოების შესაძლებლობების განვითარება.

„ჰიბრიდული ომის“ მრავალმხრივი გამოხატულებისა და უსაფრთხოების გარემოს სწრაფი ცვლელადობის გათვალისწინებით, მისგან მომდინარე საფრთხეები რთულად პროგნოზირებადია და მოიცავს სახელმწიფო მმართველობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა ასპექტს.

ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კიბერუსაფრთხოების მდგრადი სისტემის არსებობა, საინფორმაციო სივრცისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების კიბერსადაზვერვო ოპერაციებისა და კიბერშეტევებისგან დაცვა.

2020 წელს კვლავ აქტუალური იყო ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეები. ამასთან, ყველასთვის ცნობილი ტერორისტული იდეოლოგიების პარალელურად, გაძლიერდა ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმიდან მომდინარე გამოწვევები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომის გათვალისწინებით, მოქმედებს კანონის უზენაესობის, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანაზომიერების პრინციპით.

ამასთანავე, სამსახურის ძალისხმევა მიმართულია ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და ადამიანური რესურსის გაძლიერებისკენ. აქტიურად ინერგება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული მიდგომები. ასევე, პრიორიტეტულია მოსახლეობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია. სამსახურმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უსაფრთხოების ექსპერტებსა და ამ სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციისა და მჭიდრო თანამშრომლობის კუთხით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოჩნდა, როგორც მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი საერთაშორისო, განსაკუთრებით კი ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების არქიტექტურაში. აღნიშნული მიმართულებით აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა სტრატეგიული პარტნიორებისა და მეგობარი სახელმწიფოების კოლეგა უწყებებთან.

დასასრულ, მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, სამსახურის თითოეული თანამშრომლის როლი სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. სხვადასხვა მიმართულებით

არსებული საფრთხეებისგან ქვეყნის ეფექტიანად დასაცავად, სამსახურის თანამშრომლები, რიგ შემთხვევებში, საკუთარი სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის ფასად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, რაც უმეტესწილად მაღალი სირთულის, კომპლექსური ამოცანების განხორციელებას უკავშირდებოდა. აღნიშნულ პროცესში, ჩვენი თანამშრომლებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული მხარდაჭერა.



**გრიგოლ ლილუაშვილი**

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების

სამსახურის უფროსი

ოკუპირებული ტერიტორიები .....	6
<i>ანექსიისკენ მიმართული პროცესები .....</i>	6
<i>ოკუპირებული რეგიონების მილიტარიზაცია .....</i>	7
<i>ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესები .....</i>	7
<i>„ჰიბრიდული ომი“ და საოკუპაციო ძალების უკანონო აქტივობები.....</i>	9
<i>საერთაშორისო მექანიზმები .....</i>	11
<i>საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა.....</i>	13
სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა.....	14
<i>საერთაშორისო და რეგიონში განვითარებული მოვლენების გავლენა უსაფრთხოების</i>	
<i>გარემოზე.....</i>	18
<i>რეგიონში განვითარებული უსაფრთხოების პროცესები.....</i>	18
<i>ახალი კორონავირუსის პანდემია .....</i>	19
<i>დეზინფორმაცია და „ჰიბრიდული ომის“ სხვა საფრთხეები.....</i>	20
<i>ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები .....</i>	20
<i>დეზინფორმაცია .....</i>	22
კიბერუსაფრთხოება .....	23
ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა .....	25
<i>საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები და მათგან მომდინარე საფრთხეები.....</i>	27
<i>საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები.....</i>	29
<i>ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია.....</i>	33
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა .....	33
სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა.....	36
პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ზედამხედველობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	
.....	38
<i>პერსონალურ მონაცემთა დაცვა .....</i>	38
<i>ზედამხედველობა .....</i>	39
<i>საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა .....</i>	40
საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია.....	41
<i>საერთაშორისო თანამშრომლობა .....</i>	41
<i>უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია.....</i>	46
მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება.....	48
<i>ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება.....</i>	48
<i>სასწავლო ცენტრი.....</i>	49
<i>მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები .....</i>	50

## ოკუპირებული ტერიტორიები

2020 წელს საქართველოს წინაშე მდგარ მთავარ საფრთხესა და გამოწვევას კვლავ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია წარმოადგენდა. ოფიციალური მოსკოვი განაგრძობდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ფაქტობრივი ანექსიის პოლიტიკას, ცენტრალური ხელისუფლებისგან ოკუპირებული რეგიონების იზოლაციისა და საოკუპაციო ხაზით გაყოფილი მოსახლეობის გაუცხოებისკენ მიმართულ პროცესს. ადგილზე აქტიურად მიმდინარეობდა მილიტარიზაცია და სამხედრო წვრთნები. 2020 წლის განმავლობაში, ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების კიდევ უფრო შეზღუდვით მათი მდგომარეობა გაუარესდა.

### ანექსიისკენ მიმართული პროცესები

რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ფაქტობრივი ანექსიის კონტექსტში ხაზგასასმელია 2020 წლის 12 ნოემბერს რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის ე.წ. ერთიანი სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამის „დამტკიცება“. ე.წ. პროგრამა ფინანსურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, ე.წ. სამართლებრივი ბაზის „ჰარმონიზაციას“ ითვალისწინებს. ამასთან, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეობის „მინიჭებისა“ და მათზე უძრავი ქონების, მათ შორის, ე.წ. სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების „გასხვისების“ შესაძლებლობას აჩენს.

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, მაღალი ალბათობით, რუსეთის ფედერაციამ ზემოხსენებულ ე.წ. დოკუმენტზე ხელმოწერისთვის ოკუპირებულ რეგიონზე ზეწოლა ფინანსური დახმარების საკითხის გამოყენებით განახორციელა.

გასათვალისწინებელია, რომ საანგარიშო პერიოდში რუსეთის ფედერაციის მიერ კიდევ ერთხელ გააქტიურდა ოკუპირებული აფხაზეთის სიღრმეში, რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვართან მდებარე ოკუპირებული გაგრის რაიონის სოფელ აიბლას „რუსეთისთვის მიკუთვნების“ საკითხი, რაც ასევე ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკის ნაწილია.

2020 წლის განმავლობაში მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა ანექსიის პირდაპირი საფრთხე ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით, რადგან ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის საკითხს ღიად უჭერს მხარს.

ამ მიმართულებით გადადგმულ მორიგ ნაბიჯს წარმოადგენს ოკუპირებულ ცხინვალსა და რუსეთის ფედერაციას შორის ე.წ. საბაჟო პროცედურების გამარტივება. 2020 წლის დეკემბერში, რუსეთ-საქართველოს საზღვრის როკის მონაკვეთზე ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. საბაჟო პუნქტი გაუქმდა და „შესაბამისი პროცედურები“ ერთობლივად ხორციელდება მხოლოდ რუსეთში, „ქვემო ზარამაგზე“. აღნიშნული მიზნად ისახავს ე.წ. სტრუქტურების ეტაპობრივ გაუქმებას და მათ რუსულ უწყებებში ინტეგრირებას.

### ოკუპირებული რეგიონების მილიტარიზაცია

გასული წლების მსგავსად, მაღალი ინტენსივობით გრძელდებოდა საოკუპაციო ძალების სამხედრო წვრთნები ოკუპირებულ ტერიტორიებზე. არსებული მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის სამხრეთ სამხედრო ოლქის მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზების ქვედანაყოფებმა, საბრძოლო შესაძლებლობებისა და კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, სხვადასხვა ტიპის 120-ზე მეტი სწავლება ჩაატარეს. გარდა ამისა, ხსენებულ ბაზებზე ხორციელდებოდა გეგმური როტაციები, შეიარაღებისა და სამხედრო-ტექნიკური საშუალებების განახლება.

ოკუპირებულ რეგიონებში უკანონოდ განთავსებული რუსეთის საოკუპაციო ძალები და მძიმე სამხედრო ტექნიკა აზიანებს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს, აღნიშნული წარმოადგენს რეგიონულ საფრთხესა და საერთაშორისო გამოწვევას.

საანგარიშო პერიოდში ოფიციალური მოსკოვი, სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, სრულად აკონტროლებდა და ერთვებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე ყველა პროცესში, მათ შორის ე.წ. უწყებების ფუნქციონირებაში (ე.წ. საზღვრის დაცვა, ე.წ. საბაჟო სინქრონიზაცია, „სამართალდამცავი უწყებების“ და ე.წ. თავდაცვის უწყების მუშაობა).

### ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესები

საქართველოს ოკუპირებული რეგიონები, რუსულ ოკუპაციასთან ერთად, ე.წ. შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშეც აღმოჩნდნენ.

2020 წლის დასაწყისში ოკუპირებულ აფხაზეთში, არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და გაუარესებული კრიმინოგენული მდგომარეობით გამოწვეული საპროტესტო აქციებისა და პროცესებში რუსეთის უშუალო ჩართულობის შედეგად, ე.წ. ხელისუფლება შეიცვალა. კრემლის მიზანი იყო ოკუპირებულ აფხაზეთში არ დაეშვა შეიარაღებული დაპირისპირება და კრიზისული ვითარება სუსტი მოთამაშის ხარჯზე დაერეგულირებინა. ამ შემთხვევაში ასეთად მაშინდელი ე.წ. პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა იქნა მიჩნეული, რომელმაც დაკავებული „თანამდებობა“ დატოვა.

ე.წ. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ყოფილი ე.წ. მთავრობის წევრებით დაკომპლექტებული ე.წ. ოპოზიცია, დაახლოებით, ნახევარი წლის შემდეგ გააქტიურდა. ე.წ. ოპოზიციურად განწყობილი ძალები ასლან ბჟანიას გუნდს თბილისთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებში, ახალი კორონავირუსის არაეფექტურ მართვასა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაში ადანაშაულებდნენ და ამით ოკუპირებულ აფხაზეთში საპროტესტო მუხტს ქმნიდნენ.

არასტაბილური ე.წ. პოლიტიკური ვითარება იყო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონშიც. 2020 წლის 28 აგვისტოს ე.წ. ბრალდებული ინალ ჯაბიევი, სავარაუდოდ წამების შედეგად, ე.წ. იზოლატორში გარდაიცვალა. აღნიშნულმა ფაქტმა „ოპოზიციის“ მხრიდან გრძელვადიანი ე.წ.



ბოიკოტი და ოკუპირებულ ცხინვალში რამდენიმე მასშტაბური საპროტესტო აქცია გამოიწვია. „ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების“ პროტესტის გამო, რამდენიმე თვის განმავლობაში ე.წ. პარლამენტში ვერ შედგა „კვორუმი“ და შედეგად, ვერ დამტკიცდა ე.წ. მთავრობის შემადგენლობა, ასევე ვერ განიხილეს ე.წ. ბიუჯეტის საკითხი.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული რეგიონების წარმომადგენლები აქტიურ შეხვედრებს მართავდნენ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ელიტასა და ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით კრემლის პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებთან. ოკუპირებული რეგიონების ე.წ. პრეზიდენტებმა და დე ფაქტო დელეგაციებმა რუსეთის ფედერაციაში რამდენიმე ათეული ვიზიტი განახორციელეს, რა დროსაც განიხილებოდა „შიდაპოლიტიკური“, ენერგეტიკული, ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის, საჰაერო მიმოსვლის და სხვა საკითხები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლების მიერ ქ. სოხუმის აეროპორტის აღდგენასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები. ამ საკითხის მიმართ ინტერესს ავლენდა რუსეთის საჰაერო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტო „როსავიაცია“.

საერთო ჯამში, 2020 წელს, ე.წ. შიდაპოლიტიკური თვალსაზრისით, ორივე ოკუპირებულ რეგიონში არასტაბილური ვითარება იყო. ამ პროცესში ხშირად იკვეთებოდა ანტიქართული განწყობები. ე.წ. პოლიტიკური კრიზისის დროს ნათლად ჩანდა პროცესებში რუსეთის ფედერაციის პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობა.

ოკუპირებულ რეგიონებში, ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში, მკვეთრად გაუარესდა ე.წ. ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც თავის მხრივ, ნაღდი ფულის დეფიციტი გამოიწვია და შექმნა პრობლემები ყველა სფეროში, მათ შორის „ხელფასებისა“ და „პენსიების“ გაცემის მიმართულებით. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში დეფიციტური გახდა საკვები და სამედიცინო პროდუქცია.

მაღალი იყო ოკუპირებული რეგიონების ფინანსური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბიუჯეტზე. არსებული მონაცემებით, ოკუპირებული აფხაზეთისთვის გამოყოფილმა ფინანსურმა დახმარებამ 4,5 მილიარდი რუსული რუბლი (63 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა, რაც ე.წ. ბიუჯეტის, დაახლოებით, 50%-ია. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში რუსული დახმარება 6,2 მილიარდ რუსულ რუბლს (86 მილიონი აშშ დოლარი) შეადგენდა და ე.წ. ბიუჯეტის 82% შეავსო. აღნიშნული წარმოდგენს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ოკუპირებულ რეგიონებზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტს.

ე.წ. ეკონომიკური სირთულეების პარალელურად, ოკუპირებულ აფხაზეთში მწვავე ენერგოკრიზისი განვითარდა. კრიპტოვალუტის მასშტაბური მოპოვების შედეგად, გაჩნდა ელექტროენერჯის დეფიციტი. ინტენსიურმა ე.წ. მაინინგმა მოძველებული ელექტროქსელები კიდევ უფრო გადატვირთა და ხშირი ავარიების ფონზე, მოსახლეობის მნიშვნელოვანი სეგმენტი პერიოდულად ელექტროენერჯის გარეშე რჩებოდა.

ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ოკუპირებული რეგიონების ჯანდაცვის ე.წ. სისტემა სრულად დამოკიდებული გახდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან გაწეულ ფინანსურ და მატერიალურ დახმარებაზე. მიუხედავად ამისა, ახალი კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისას მწვავე პრობლემები შეიქმნა. მსგავსი გამოწვევები განსაკუთრებით ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით შეინიშნებოდა.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთი აქტიურად განაგრძობდა რუსეთის სატელიტ სირიის არაბთა რესპუბლიკის რეჟიმთან ურთიერთობის გაღრმავებას. სირიაში გაიხსნა ე.წ. საელჩო და დამასკოში ე.წ. აფხაზური დელეგაციები იმყოფებოდნენ.

### **„ჰიბრიდული ომი“ და საოკუპაციო ძალების უკანონო აქტივობები**

ოკუპაციის ფარგლებში რუსეთის ფედერაცია აქტიურად განაგრძობდა „ჰიბრიდული ომის“ ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლის მთავარ მიზანს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია, საზოგადოებაში ნიჰილიზმისა და პესიმისტური განწყობების გავრცელება და ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე დაბრკოლებების შექმნა წარმოადგენდა.

საოკუპაციო ძალებსა და დე ფაქტო რეჟიმებს, როგორც „ჰიბრიდული ომის“ ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რუსეთი აქტიურად და კოორდინირებულად იყენებდა „ჰიბრიდული ომის“ კიდევ ერთ ინსტრუმენტთან - ე.წ. საინფორმაციო ომთან ერთად. საოკუპაციო ძალებისა და დე ფაქტო რეჟიმების მიერ მიმდინარეობდა საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავებები, უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი და სხვა უკანონო აქტივობები. ზემოაღნიშნულს თან ახლდა დეზინფორმაციული კამპანიები და ვრცელდებოდა ყალბი ახალი ამბები.

2020 წლის განმავლობაში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით უკანონო დაკავების - 64, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 13 შემთხვევა იდენტიფიცირდა.

რიგ შემთხვევებში, საოკუპაციო რეჟიმმა უკანონოდ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს ხანგრძლივი უკანონო პატიმრობა მიუსაჯა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს უკანონოდ დაკავებული ზაზა გახელაძისა და ირაკლი ბებუას საკითხი. აღნიშნული პირების მიმართ საოკუპაციო რეჟიმმა გამოიყენა განსაკუთრებით უსამართლო და არაჰუმანური მიდგომა და მათ მრავალწლიანი უკანონო პატიმრობა მიუსაჯა. ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. ციხეში რჩებიან გენადი ბესტაევი და ლაშა ხეთერელი. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევით უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლდა საქართველოს ათეულობით მოქალაქე. რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ საქართველოს მოქალაქეთა უკანონო დაკავება, ძირითადად, მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის დაშინებასა და მათში დაუცველობის განცდის დანერგვას,

საოკუპაციო ხაზის ე.წ. საზღვრად დაფიქსირებას, საზოგადოებაში პროტესტის გაღვივებასა და ცენტრალურ ხელისუფლებაზე ზეწოლის გაზრდას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხვიჩა მღებრიშვილის აბსურდული ე.წ. ბრალდებით უკანონოდ დაკავების შემთხვევა, რომელიც საოკუპაციო რეჟიმმა რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მადისკრედიტირებელი დეზინფორმაციის გასავრცელებლად გამოიყენა.

ნიშანდობლივია, რომ საოკუპაციო რეჟიმი, ე.წ. საინფორმაციო ომის კონტექსტში გამუდმებით ავრცელებდა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციულ განცხადებებს, რომლებიც, ძირითადად, სახელმწიფო ინსტიტუტების დემონიზებას, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური თუ ეპიდემიოლოგიური ვითარების არასწორად წარმოჩენას ისახავდა მიზნად.

უკანონო პატიმრობაში მყოფი პირების დაუყოვნებლივ და უპირობოდ გასათავისუფლებლად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობდა მის ხელთ არსებული ყველა ფორმალური თუ არაფორმალური მექანიზმისა და სამართლებრივი ბერკეტის გამოყენებას.

ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევის მიუხედავად, საოკუპაციო ძალების მიერ მოკლული საქართველოს მოქალაქეების გიგა ოთხოზორიასა და არჩილ ტატუნაშვილის, ასევე, ოკუპაციის შედეგად დაღუპული დავით ბაშარულისა და ირაკლი კვარაცხელიას საქმეებში დამნაშავე პირების დასჯის მიმართულებით მდგომარეობა არ შეცვლილა. საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობისა და ცენტრალური ხელისუფლების თანმიმდევრული მიდგომის მიუხედავად, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი ხელს უშლის აღნიშნული პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგენას.

საანგარიშო პერიოდში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ კვლავ გრძელდებოდა უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი, რაც საოკუპაციო ხაზის მთელ პერიმეტრზე ხელოვნური ბარიერების, ღობეების, მავთულხლართების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების ინსტალაციასა და მიწათხრილების, ტრანშეებისა და ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების მოწყობაში გამოიხატა. 2020 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის 16 შემთხვევა, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 60 შემთხვევა გამოავლინა.

უკანონო დაკავებები, ე.წ. ბორდერიზაცია და თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები, აგრეთვე რუსეთის საოკუპაციო ძალების მხრიდან ყოველდღიურად განხორციელებული უკიდურესად დესტრუქციული და სახიფათო ქმედებები, უხეშად არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს, აუარესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას და აზიანებს ადგილზე არსებულ უსაფრთხოების გარემოს.

საოკუპაციო ძალების დესტრუქციული მიდგომების გამო ჩაკეტილი იყო ე.წ. გადასასვლელი პუნქტები, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ოკუპირებულ რეგიონებში, განსაკუთრებით, ოკუპირებულ გალსა და ახალგორში მცხოვრებთა ყოველდღიურობა. შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას შეეზღუდა ფუნდამენტური უფლებები, მათ შორის გადაადგილების თავისუფლება, წვდომა ხარისხიან ჯანდაცვაზე, განათლებაზე და სხვა. ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას დამატებით შეეზღუდა წვდომა პენსიებსა და სოციალურ დახმარებებზე.

აღნიშნული პრობლემა მწვავედ იდგა ორივე ოკუპირებული რეგიონის მიმართულებით. დახმარების აღმოჩენის საკითხზე ვერ შედგა კონსტრუქციული დიალოგი, რაც რუსეთის ფედერაციის მხრიდან ორივე ოკუპირებულ რეგიონზე განხორციელებული წნეხით იყო გამოწვეული. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, შესაძლებელი გახდა ერთეული ჰუმანიტარული პროექტების განხორციელება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანის მიმდებარედ პოლიციის სტანდარტული საგუშაგოს განთავსებას ხელოვნურად დაუკავშირეს და ცენტრალურ ხელისუფლებას მისი დემონტაჟის უსაფუძვლო ულტიმატუმი წაუყენეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.წ. გამშვები პუნქტების გახსნაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისთვის კვლავ მწვავედ დგას ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიზანმიმართული დისკრიმინაციის პრობლემა, მათ შორის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, მოსახლეობის ეთნიკური იდენტობის შეცვლისა და ასიმილაციისკენ მიმართული პოლიტიკა. ასევე, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ქონებრივი უფლებების შეზღუდვა. ყოველივე აღნიშნული რეგიონში ქართული მოსახლეობის კვალის წაშლასა და იძულებით გადაადგილებული ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დაბრუნების გამორიცხვას ისახავს მიზნად.

### საერთაშორისო მექანიზმები

ზემოაღნიშნული საკითხები, ისევე როგორც საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებელი და უპირობო გათავისუფლების მოთხოვნა, მწვავედ დაისვა როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში, ისე ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატში გამართული შეხვედრებისას. გარდა ამისა, აქტიურად იყო გამოყენებული ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით მოქმედი „ცხელი ხაზი“, რომელიც, განსაკუთრებით ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე, კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

რუსეთის ფედერაციისა და მათ მიერ მართული საოკუპაციო რეჟიმების დესტრუქციული ქმედებების გამო შეწყვეტილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის

(IPRM) შეხვედრები, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით, თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ, 2020 წლის 30 ივლისს აღდგა.

ხსენებული შეხვედრების ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა დეტალურად განიხილეს ოკუპირებულ რეგიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე დაფიქსირებული ყველა მნიშვნელოვანი ინციდენტი, რომელიც უკიდურესად აზიანებს უსაფრთხოების გარემოს, საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას და ზღუდავს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ თავისუფლად გადაადგილებას. განსაკუთრებით აღინიშნა უკანონო ე.წ. ბორდერიზაციისა და უკანონო დაკავებების მანკიერი პრაქტიკა. კატეგორიულად იქნა მოთხოვნილი საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების დაუყოვნებელი და უპირობო გათავისუფლება. ამასთან, ყურადღება გამახვილდა ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრებთათვის, განსაკუთრებით ოკუპირებული ახალგორის მოსახლეობისთვის, ხარისხიანი ჯანდაცვისა და განათლების ხელმიუწვდომლობის საკითხზე, მათ შორის ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე.

ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით საოკუპაციო ძალების მიზანმიმართული, პროვოკაციული ქმედებების შედეგად, IPRM-ის შეხვედრები 2018 წლის 27 ივნისის შემდეგ არ ჩატარებულა.

2020 წელს საოკუპაციო ძალების მხრიდან შეინიშნებოდა „ცხელი ხაზის“ პოლიტიზების მცდელობების მზარდი დინამიკა. კერძოდ, საკითხის გადასაჭრელად ჰუმანიტარული მიდგომების გამოყენების ნაცვლად, „ცხელი ხაზით“ პოლიტიკური განცხადებები ჟღერდებოდა. ასევე, შეინიშნებოდა „ცხელი ხაზის“ მიზანმიმართული დაზიანების მცდელობა. თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საერთაშორისო პარტნიორების ძალისხმევით, აღნიშნული მექანიზმი მაინც რჩება საოკუპაციო ხაზის გასწვრივ თანამშრომლობის ერთადერთ ეფექტიან ინსტრუმენტად.

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ დაფიქსირებული ინციდენტების უმოკლეს ვადაში გარკვევა/განმუხტვისთვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) უშუალო ჩართულობით მოქმედი „ცხელი ხაზი“ საანგარიშო პერიოდში 2836-ჯერ გააქტიურდა: 1736-ჯერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის, ხოლო 1100-ჯერ - ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში, თანათავმჯდომარეები რამდენიმე ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოში და კომუნიკაცია ონლაინ ფორმატშიც ხორციელდებოდა. ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების 51-ე რაუნდი 2020 წლის 10-11 დეკემბერს გაიმართა.

რუსეთის ფედერაცია ცდილობდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგებისგან, მათ შორის ოკუპაციისგან დისტანცირებას. საოკუპაციო ძალა აგრძელებდა მცდელობას, რათა არ

დაფიქსირებულიყო „კონფლიქტის მხარედ“ და თავი მესამე, ე.წ. ნეიტრალურ ძალად წარმოეჩინა. აღნიშნული მცდელობა ფიქსირდებოდა როგორც ჟენევის დისკუსიების ფარგლებში, ისე IPRM-ზე და ე.წ. ცხელი ხაზით კომუნიკაციისას.

### საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად, რუსეთის ფედერაციის აღნიშნულ მცდელობას საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობით უპირისპირდებოდა. უწყება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, ეფექტიანად თანამშრომლობდა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMM), რომელიც საქართველოში მოქმედი ერთადერთი სადამკვირვებლო მისიაა და სახელმწიფო უწყებებთან ერთად, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საგულისხმოა, რომ მისიის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, თუმცა მისი წარმომადგენლები საანგარიშო პერიოდში კვლავ ვერ ახერხებდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს ეკისრება.

ოკუპირებული რეგიონების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UN), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE), ასევე, ევროპის საბჭოს (CoE) წარმომადგენლობებთან. ჰუმანიტარული მიმართულებით აღსანიშნავია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) თანამშრომლობა, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ პირთათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და მათი ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანის საკითხებში. ნიშანდობლივია, რომ ახალი კორონავირუსის პანდემიის ფონზე, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ, 90-იანი წლების კონფლიქტისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ თუ დაღუპულ პირთა მოძიების მიზნით, ორგანიზებული „სამმხრივი საკოორდინაციო შეხვედრა“ ონლაინ ფორმატში გაიმართა.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების, მათი მაქსიმალურად განეიტრალებისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიის გააქტიურებული პროცესების შესაფერხებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ეფექტიანად თანამშრომლობდა და მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს. ამასთან, მანდატის ფარგლებში, ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციას უზიარებდა პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირებს, საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებსა და მედიის წარმომადგენლებს.

## სახელმწიფო უსაფრთხოება და კონტრდაზვერვითი საქმიანობა

2020 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ძალისხმევა მიმართული იყო ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამხედრო პოტენციალისა და ეკონომიკური ინტერესების უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების, მათი ეგიდით მოქმედი ორგანიზაციებისა თუ ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან დაცვისკენ, ასევე, ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფის მცდელობის სხვა დანაშაულების აღკვეთის, სახელმწიფო საიდუმლოების და სტრატეგიული ობიექტების დაცვის უზრუნველყოფისა და ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებისკენ.

აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას, სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ქმედებებისა და მცდელობების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირების, მათი პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით, კანონმდებლობის სრული დაცვით, ფართოდ იყო გამოყენებული სამსახურის ოპერატიული, ოპერატიულ-ტექნიკური და ანალიტიკური შესაძლებლობები.

ცალკეული ქვეყნების დაზვერვითი საქმიანობისა და შესაძლო დესტრუქციული ქმედებებისგან სახელმწიფოს დასაცავად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და გატარდა სათანადო კონტრზომები.

2020 წელს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობის ფაქტებისა და ნიშნების, ასევე, მათთან შესაძლო კავშირში მყოფი უცხოური თუ ადგილობრივი ორგანიზაციების, ცალკეული პირებისა და პირთა ჯგუფების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენის, შესწავლის, აღკვეთისა და გამომიების მიზნით, აქტიურად მიმდინარეობდა ოპერატიულად საყურადღებო ობიექტების კონტროლი და მათ მიმართ გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებები.

საანგარიშო წელს გამოიკვეთა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დაინტერესების სფეროები და მიზნები, დადგინდა აღნიშნულის მისაღწევად გამოყენებული მეთოდები, მოქმედების ტაქტიკა, გამოვლინდა მათი კავშირები და სამიზნე ობიექტები.

უცხო სახელმწიფოთა სპეციალური სამსახურებისა და ორგანიზაციების საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის ძირითად მიზანს პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვა სახის ზეგავლენის ბერკეტების მოპოვება წარმოადგენდა.

აღნიშნული სამსახურები, მათ მიერ მართული ან/და დაფინანსებული აქტივობებისა და კამპანიების მეშვეობით, ცდილობდნენ შიდა პოლიტიკურ პროცესებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირდაპირ ან ირიბ ჩარევას, კონსტიტუციური წესრიგის დარღვევას, არეულობის

შექმნას, ასევე, სახელმწიფო საფუძვლებისა და მმართველობის ფორმების შერყევას, ქვეყნის ინსტიტუციური სისტემების ფუნქციონირების შეფერხებას და მათი განვითარების შეზღუდვას. დაფიქსირდა მნიშვნელოვან პროცესებზე გავლენის მოხდენის აქტიური მცდელობები, საზოგადოებრივ აზრზე მანიპულირებით, მოსახლეობის დაყოფისა და პოლარიზების გზით.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმოებაში არსებულ რამდენიმე ასეულ ოპერატიული აღრიცხვის საქმეზე აქტიურად ტარდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

სამსახურის კონტრაზვერვის დეპარტამენტის მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 12 საქმეზე. აქედან, 16 პირის მიმართ სასამართლოში წარიმართა სისხლის სამართლის 6 საქმე. გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 7 პირის მიმართ, ხოლო 9 პირთან დაკავშირებით სასამართლო განხილვა გრძელდება.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში გამოძიება მიმდინარეობდა სისხლის სამართლის 5 საქმეზე.

ამასთანავე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია, ქვემდებარეობით, გადაიგზავნა სხვა საგამოძიებო უწყებებში, სადაც გამოძიება დაიწყო რამდენიმე ათეულ სისხლის სამართლის საქმეზე.

უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და მათი გავლენის ქვეშ მყოფი პირებისა თუ პირთა ჯგუფების საქმიანობაში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსზე ზემოქმედების მცდელობებს. ქვეყნის მოსახლეობის მხრიდან ევრო-ატლანტიკური კურსის მიმართ არაერთხელ გაცხადებული მტკიცე მხარდაჭერის მიუხედავად, აღნიშნული აქტორები, სხვადასხვა დეზინფორმაციული თუ პროპაგანდისტული მეთოდების გამოყენებით, განაგრძობდნენ მოსახლეობაში საქართველოს დასავლელი პარტნიორების მიმართ უნდობლობის გაღვივებას, დემოკრატიული ღირებულებებისა და სისტემების დაკნინებას და საპირწონედ, ცალკეული ქვეყნების ინტერესებს მორგებული მსოფლმხედველობის გავრცელებას. ამასთანავე, დაფიქსირდა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს არასანდო, არასტაბილურ პარტნიორად წარმოჩენის მცდელობები.

ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და თავდაცვის სისტემების ნატოს სტანდარტებთან მიახლოების პროცესში, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების განსაკუთრებული დაინტერესების საგანს წარმოადგენს საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები, სფეროში მიმდინარე აქტივობები და სამომავლო გეგმები. ცალკეული ქვეყნები და მათი გავლენის ქვეშ მყოფი ჯგუფები მიზნად ისახავდნენ შავი ზღვის რეგიონსა და საქართველოში ნატოს აქტივობების შეზღუდვას და ამ მიმართულებით დესტრუქციულ საქმიანობას ეწეოდნენ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სხვა ძალოვანი უწყებების კონტრაზვერვით უზრუნველყოფას და მათი წარმატებული ფუნქციონირების წინააღმდეგ მიმართული მცდელობების განეიტრალებას.



კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მიმდინარეობდა ოპერატიულად საყურადღებო პირთა შესაბამისი მონიტორინგი, მათგან მომდინარე შესაძლო ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად.

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, სამსახურის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია სახელმწიფო ორგანოებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის სუბიექტებზე საიდუმლოებისა და უსაფრთხოების რეჟიმის დაცვა. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონების, ასევე, სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, საანგარიშო წლის განმავლობაში მუდმივად მიმდინარეობდა სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ოპერატიული და კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფა.

აღნიშნულ სუბიექტებს, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, სამსახური აქტიურად აწვდიდა სათანადო რეკომენდაციებს და ახორციელებდა შესრულების მონიტორინგს. ხორციელდებოდა მათ მიმართ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების შესაძლო დაინტერესების გამოვლენა, წინმსწრები ინფორმაციის მოპოვება და სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება-გატარება.

2020 წელს სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება გაიცა 38 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე, ხოლო 5 მათგანს, გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის საფუძველზე, აღნიშნული ნებართვის მიღებაზე უარი ეთქვა. ამასთან, საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება განხორციელდა 34 ორგანიზაცია-დაწესებულებაში. ასევე, 4 539 ფიზიკურ პირზე განხორციელდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების შემოწმების პროცედურა.

სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ ეკონომიკურ პროცესებში ჩარევის პრევენცია წარმოადგენს. ცალკეული სახელმწიფოები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური პროექტებით, აქტიურად ცდილობენ რეგიონში ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას და აღნიშნულის საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სამსახური აქტიურად აგრძელებდა სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების ანალიზს და მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების გამოვლენას. მიმდინარეობდა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში არსებულ ან/და დაგეგმილ ეკონომიკურ ურთიერთობებში შესაძლო საფრთხეების გამოკვეთა. მათი შემცირებლად მუშავდებოდა რეკომენდაციები და გატარდა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

საანგარიშო წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად ატარებდა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხეების შემცირებისკენ

მიმართულ ღონისძიებებსა და აქტივობებს. შესაბამისი დანაყოფები უწყვეტად აკონტროლებდნენ ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მასალების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებულ ოპერატიულ ვითარებას, ტარდებოდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. ასევე, მიმდინარეობდა აქტიური კოორდინაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სახელმწიფო საზღვარზე რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სასაზღვრო ტექნოლოგიების შემდგომი განვითარების, ელექტრონული დაკვირვების სისტემების, სასაზღვრო ოპერაციების მართვისა და კომუნიკაციების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით. სამსახურის მმართველობაში შემავალმა ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ სახელმწიფო საზღვრის ცალკეული სექტორები თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვა.

საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, 2020 წელს დასრულდა საჰაერო გადამზიდველების მიერ მგზავრის წინასწარი მონაცემებისა (API) და მგზავრის სახელის ჩანაწერის (PNR) მიწოდების სისტემის ტექნიკური იმპლემენტაცია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც ტერორიზმის და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას, ასევე გაზრდის სასაზღვრო და უკანონო მიგრაციის კონტროლის სისტემების ეფექტიანობას.

მიგრაციის არხების მონიტორინგის ფარგლებში, ოპერატიული საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2020 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა პირები, რომლებიც სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით ცდილობდნენ საქართველოში შემოსვლისა და სხვადასხვა სახის ბინადრობის ნებართვის მოპოვებას. ასევე დადგინდა მათი ხელშემწყობი, საქართველოში მოქმედი ცალკეული ორგანიზაციები და პირები. აღნიშნულ ფაქტებზე შემდგომი რეაგირების მიზნით, სამსახური აქტიურ კოორდინაციაში იმყოფებოდა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან, ასევე სხვა შესაბამის უწყებებთან და უწყვეტად ახორციელებდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების გადაადგილების მონიტორინგს საქართველოს სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებდა საქართველოს შესაბამისი უწყებებიდან მიღებული იმ საქმეების მონიტორინგს, რომლებიც ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში შემოსვლას და ცხოვრების უფლების მიღებას. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ დადებითი რეკომენდაცია გაიცა საქართველოს მოქალაქეობის 8 000-მდე და სხვადასხვა ტიპის ბინადრობის ნებართვის მიღების მსურველთა 18 000-მდე განცხადებაზე. ამასთანავე, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, უარყოფითი რეკომენდაცია გაიცა 200-ზე მეტ განცხადებაზე მოქალაქეობის მოთხოვნის შემთხვევაში, ხოლო 2 400-მდე - ბინადრობის ნებართვის შემთხვევაში. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენდა სამსახურის

ხელთ არსებული და საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, პარტნიორი ქვეყნების მიერ გაზიარებული ინფორმაცია.

## საერთაშორისო და რეგიონში განვითარებული მოვლენების გავლენა უსაფრთხოების გარემოზე

### რეგიონში განვითარებული უსაფრთხოების პროცესები

საქართველოსა და რეგიონთან მიმართებით რუსეთის ფედერაციის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები არ შეცვლილა და მთავარ საფრთხედ კვლავ მისი ექსპანსიური პოლიტიკა რჩება.

უსაფრთხოების თვალსაზრისით, განსაკუთრებით რთული გამოწვევა იყო 2020 წელს საქართველოს ორ მეზობელ სახელმწიფოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე სამხედრო დაპირისპირება და აღნიშნულთან დაკავშირებული საფრთხეები. მთიან ყარაბაღში სამხედრო კონტინგენტის განთავსებით, რუსეთი ცდილობს რეგიონზე სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ბერკეტების გამყარებას, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს რეგიონის უსაფრთხოების გარემოზე.

2020 წელს, კონფლიქტის ზონაში განვითარებული მოვლენების ფონზე, დაინტერესებული ჯგუფები განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოში ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მიმართულებით. აღნიშნული ჯგუფები აქტიურად ცდილობდნენ საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანულ და სომეხ მოქალაქეებს შორის ვითარების დამაბვას, კონკრეტული მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე კონფლიქტის გადმოტანას და იქ არსებული მშვიდობიანი გარემოს დაზიანებას.

ამასთანავე, მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ქართულ-აზერბაიჯანული და ქართულ-სომხური ურთიერთობების დამაზიანებელი განწყობების წახალისება. დესტრუქციული პროცესების ხელშესაწყობად, ვრცელდებოდა ცრუ ინფორმაციები მიმდინარე მოვლენებში საქართველოს სხვადასხვა ფორმით ჩართულობის შესახებ. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ერთ-ერთ ძირითად მიზანს საქართველოს, როგორც რომელიმე დაპირისპირებული მხარის მხარდამჭერ ქვეყნად წარმოჩენა წარმოადგენდა, რისთვისაც აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა მედია და ინტერნეტსაშუალებას.

შექმნილი ვითარების ფონზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდა სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამის უწყებებთან. უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიღებული იყო რეგიონში მიმდინარე პროცესების დარეგულირების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

სამსახურის მიერ პერმანენტულად მიმდინარეობდა ოპერატიული ვითარების კონტროლი და ცალკეულ პროცესებში მონაწილე პირებისა თუ ჯგუფების გამოვლენა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქართველოს ხელისუფლებაში მყოფ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უწყვეტად აწვდიდა ინფორმაციას მოვლენების შესაძლო

განვითარების სცენარების, უსაფრთხოების მიმართულებით გამოკვეთილი რისკებისა და მათი შესაძლო შედეგების თაობაზე.

აღნიშნულ პერიოდში სამსახურის მიერ წარმატებით გატარდა საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლო პროვოკაციებისა თუ საომარი მუხტის გადმოტანის პრევენციული ზომები და ეთნიკური დაპირისპირების შემდგომი გამწვავების თავიდან ასაცილებლად, განხორციელდა დეესკალაციის ღონისძიებები.

საფრთხეების მინიმიზაციის მიზნით, სათანადო რეკომენდაციები მიეცათ როგორც ცენტრალური, ასევე მუნიციპალური ხელისუფლების შესაბამის უწყებებსა და ხელმძღვანელ პირებს.

### **ახალი კორონავირუსის პანდემია**

ზემოაღნიშნული გამოწვევების გარდა, 2020 წელს საქართველოსთვის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ახალი და დიდწილად განსხვავებული გამოწვევა იყო კორონავირუსის პანდემია და აღნიშნულის ფონზე უსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოშობილი თუ მომძლავრებული ტენდენციები. ახალი კორონავირუსის გლობალურმა გავრცელებამ გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებზე, მსოფლიო ეკონომიკასა თუ პოლიტიკაზე, არამედ ისეთ ფუნდამენტურ ასპექტებზეც, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოება.

უსაფრთხოების კუთხით, მეტი აქტუალობა შეიძინა ისეთმა საკითხებმა, როგორცაა მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, სურსათის უვნებლობა, ბიოლოგიური ტერორიზმისადმი მოწყვლადობა, საგანგებო სიტუაციებისთვის ქვეყნების მზადყოფნა და სხვა.

ამ ვითარებაში უსაფრთხოების სამსახური 24-საათიან რეჟიმში იყო ჩართული ახალი კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფოს ძალისხმევაში, რათა შეზღუდულიყო მისი გავლენა უსაფრთხოების გარემოზე. სამსახურის სხვადასხვა დანაყოფი კომპეტენციის შესაბამისად ახდენდა პანდემიასთან გამკლავების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ოპერატიულ, ინფორმაციულ და ანალიტიკურ უზრუნველყოფას.

2020 წელს პანდემიის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა ავტორიტარულ რეჟიმებსა და მმართველობებს დამატებითი სივრცე შეუქმნა გარკვეული მიმართულებებით გააქტიურებისთვის. ცალკეული სახელმწიფოები შექმნილ ვითარებას საერთაშორისო ასპარეზზე გავლენის მოსაპოვებლად და კონკრეტული გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად იყენებდნენ, რისთვისაც აქტიურად მიმართავდნენ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტრუმენტებს, ხელს უწყობდნენ საზოგადოებაში პოპულისტური, ანტიდემოკრატიული და რადიკალური განწყობების გაღვივებას.

ამასთანავე, „რბილი ძალის“ ფარგლებში აქტუალური გახდა ადამიანებში გაჩენილი შიშის ფაქტორითა და სამედიცინო, ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხებით მანიპულირება და აღნიშნული მიზნით, სხვადასხვა კონსპირაციული თეორიის, მითისა თუ შეთქმულების გავრცელება.

აღნიშნულის პარალელურად, 2020 წელს პანდემიის კუთხით შექმნილი სირთულეები, საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში აღნიშნულით გამოწვეული უკმაყოფილება, ეფექტურად გამოიყენა ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მიმდევარმა სხვადასხვა პირმა თუ რადიკალურად განწყობილმა ჯგუფმა. ფართოდ ვრცელდებოდა ანტისახელმწიფოებრივი და რიგ შემთხვევებში, რადიკალური ნარატივი, რა დროსაც გამოყენებული იყო განზრახ დამახინჯებულ ფაქტებზე აგებული ყალბი ამბები და გამოგონილი ისტორიები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გატარებული საგამომიებო მოქმედებების შედეგად, გამოავლინა ცალკეული პირები და პირთა ჯგუფები, რომლებიც ახალი კორონავირუსის პანდემიის მართვაში ჩართული სახელმწიფო დაწესებულებების ფუნქციონირების შესაფერხებლად, ცდილობდნენ მასობრივი კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, ცრუ ინფორმაციის წინასწარი შეცნობით გავრცელებას და მოსახლეობაში შიშის, დაუცველობის განცდისა და პანიკის დათესვას. აღნიშნულ ფაქტზე, საბოტაჟის მუხლით, დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე.

### **დეზინფორმაცია და „ჰიბრიდული ომის“ სხვა საფრთხეები**

2020 წელს უსაფრთხოების გარემოზე არსებითად უარყოფით გავლენას ახდენდა უცხო ქვეყნებისა და მათი სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული „ჰიბრიდული საფრთხეები“ და აღნიშნულ პროცესში დეზინფორმაციის, ე.წ. რბილი ძალის და ფარული ოპერაციების გამოყენება.

### **ე.წ. რბილი ძალა და ფარული ოპერაციები**

სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის არსებით გამოწვევად რჩება ცალკეული ქვეყნების ე.წ. რბილი ძალის პოლიტიკა და მისი რეალიზების მცდელობები. საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა საზღვარგარეთ და საქართველოში მოქმედი, სპეციალურ სამსახურებთან შესაძლო კავშირის მქონე ორგანიზაციების, ფონდებისა თუ ცალკეული პირების კავშირები სოციალურ, კულტურულ, საექსპერტო, საქველმოქმედო თუ ბიზნესპროექტებთან.

ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, აქტიურად მიმდინარეობდა ე.წ. რბილი ძალის ფარგლებში სავარაუდოდ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ დაგეგმილი და შემუშავებული პროექტების განხორციელება. ონლაინპლატფორმების საშუალებით ჩატარებული სხვადასხვა სემინარისა თუ შეხვედრის რეალურ მიზანს მონაწილეებში გეოპოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური,

ისტორიული და სხვა საკითხების გარშემო საკუთარი ინტერესების შესაბამისი მსოფლმხედველობის გავრცელება წარმოადგენდა. ამასთანავე, განსაკუთრებული აქცენტი კვლავ კეთდებოდა სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებზე, მათ შორის, ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ ენის კურსებსა და გაცვლით პროგრამებზე.

საქართველოზე გავლენის მოპოვებით დაინტერესებული სახელმწიფოები პერიოდულად ცდილობენ ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური თუ სოციალური ჯგუფების დაპირისპირებას, შუღლის გაღვივებასა და რადიკალური განწყობების ხელშეწყობას.

2020 წელს ადგილი ჰქონდა სამიზნე ჯგუფებში ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე რადიკალური შეხედულებების წახალისების აქტიურ მცდელობებს, რისთვისაც მიმდინარეობდა ყოფითი ხასიათის სხვადასხვა საკითხის ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით წარმოჩენა, აღნიშნულით მანიპულირება და ანტიქართული განწყობების გაღვივება.

მშვიდობიან თანაცხოვრებაზე უარყოფითი გავლენის მოსახდენად, დესტრუქციული ძალები, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო თუ საქველმოქმედო ღონისძიების მეშვეობით ცდილობდნენ ცალკეულ რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებზე იდეოლოგიურ ზემოქმედებას და საქართველოს სახელმწიფოსგან მათ დისტანცირებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივად აკონტროლებდა ოპერატიულ ვითარებას. წინმსწრებად მოპოვებული ინფორმაციის შეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე აღკვეთილ იქნა ქვეყნისათვის დამაზიანებელი საქმიანობის განხორციელების მცდელობები, მათ შორის, პროპაგანდისტული მოწოდებების გავრცელებისა და საქართველოს მოქალაქეებში დესტრუქციული განწყობების წახალისების მიმართულებით. ცალკეული სუბიექტების მიმართ გატარდა შესაბამისი კონტროლები, მათ შორის, გამოყენებულ იქნა სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები.

საანგარიშო პერიოდში, ანტიდასავლური ნარატივების პარალელურად, გამოიკვეთა საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების - აზერბაიჯანის, თურქეთისა და სომხეთის წინააღმდეგ მიმართული რიტორიკის მომძლავრება და აღნიშნულით ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობების დაზიანების მცდელობები. აღნიშნულ კონტექსტში, 2020 წელს უცხო ქვეყნის სპეციალურმა სამსახურებმა აქტიურად გამოიყენეს მთიანი ყარაბაღის ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული იქნა მსგავს პროცესებში მონაწილე პირები, სოციალური ქსელების ყალბი ანგარიშები, კონკრეტული ორგანიზაციები და მათთან აფილირებული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. დადგინდა, რომ აღნიშნული აქტორები მოქმედებდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში, საიდანაც აქტიურად ხორციელდებოდა საქართველოს მოსახლეობაში მეზობელი ქვეყნების იმიჯის დისკრედიტაცია.

ამასთან, ცალკეულ ქვეყნებთან მიმართებით იყო რიგი საკითხებისა და პროცესების „ოკუპაციის სიბრტყეში“ გადატანის მცდელობები, რაც ერთმნიშვნელოვნად, რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ოკუპაციის ჭრილში მიმართული აგრესიის დეაქტუალიზაციას ისახავდა მიზნად.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, 2020 წელს ქართველი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი ცალკეული საკითხების გასამწვავებლად, გარკვეული ჯგუფები პატრიოტული მოტივებით აპელირებდნენ და პოპულისტური მოწოდებებით ეთნიკურ თუ რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებით რადიკალურ შეხედულებებს ავრცელებდნენ. ასევე, აღნიშნული ძალების გარკვეული ნაწილი ცდილობდა საქართველოს მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფს შორის განხეთქილების ჩამოგდებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, გატარებული მოქმედებების შედეგად, საანგარიშო პერიოდში აღკვეთა საქართველოს ინტერესების საზიანოდ მიმართული მსგავსი საქმიანობა, თავიდან აიცილა შესაძლო პროვოკაცია და განახორციელა დეესკალაციის ღონისძიებები. 2020 წელს, სამსახურის მიერ, ეროვნული მტრობისა და განხეთქილების ჩამოგდებას მიზნით ეთნიკურ და ეროვნულ ნიადაგზე დისკრიმინაციის საქმეზე, გამოძიება დაიწყო.

### დეზინფორმაცია

2020 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ ფარული მოქმედებებისა და ღია დეზინფორმაციული მეთოდების ერთობლივი და კოორდინირებული გამოყენებით, მიმდინარეობდა საქართველოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფსა და მნიშვნელოვან პროცესებზე გავლენის მოხდენის აქტიური მცდელობები.

დეზინფორმაციის მიზნებისთვის, 2020 წელს კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა მედიარესურსების, ინტერნეტ და კიბერსივრცის გამოყენებამ. საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ე.წ. „საინფორმაციო ომის“ მიმართულებით, მზარდ ტენდენციად დაფიქსირდა იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული კამპანიების წარმოებისას ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების, მათ შორის, სხვადასხვა ონლაინაპლიკაციის გამოყენება და ეფექტიანობის გასაზრდელად, მოსახლეობაში მათი ფართო პოპულარიზაცია.

დეზინფორმაციასთან, როგორც „ჰიბრიდულ საფრთხესთან“ ბრძოლის კონტექსტში, საქართველოსთვის, ისევე როგორც დასავლეთის წამყვანი დემოკრატიებისთვის, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მჭიდრო რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე შესაბამისი სტრატეგიების განვითარება. „ჰიბრიდული საფრთხის“, როგორც რთულად პროგნოზირებადი და მრავალმხრივი საფრთხის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეროვნულ დონეზე მიმდინარეობდა აქტიური უწყებათაშორისი კოორდინაცია და აღნიშნული საფრთხეების სხვადასხვა გამოხატულების მუდმივი შესწავლა-ანალიზი.

საანგარიშო წლის განმავლობაში „ჰიბრიდული ომის“ ფარგლებში დაფინანსებული, მართული თუ სხვადასხვა ფორმით მხარდაჭერილი ორგანიზაციების, პირებისა და ჯგუფების გამოვლენისა და მათგან მომდინარე საფრთხეების შემცირება-განეიტრალების მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებდა ცალკეული პროცესების უწყვეტ მონიტორინგს, მათ ოპერატიულ და ანალიტიკურ დამუშავებას, ადგენდა სხვადასხვა აქტორებს შორის ურთიერთკავშირებს, მოქმედების არეალს, მათ წინაშე დასახულ ამოცანებსა და გამოყენებულ ინსტრუმენტებს.

საქართველოს ტერიტორიაზე სამსახური მუდმივად აკონტროლებდა იმ სუბიექტებს, რომლებიც მსგავს აქტივობებს უწყობდნენ ხელს.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში, დეზინფორმაციისა და დესტრუქციული რიტორიკის ერთ-ერთ სამიზნეს თავად სამსახური წარმოადგენდა. ცალკეული სუბიექტები, აქტიურად იყენებდნენ ადამიანების ოჯახურ და პირად ტრაგედიებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და მისი თანამშრომლების დისკრედიტაციისთვის.

დაუსაბუთებელი, არასწორად ინტერპრეტირებული და ხშირ შემთხვევაში, გამოგონილი ფაქტების გამოყენებით, სამსახურის, მისი თანამშრომლებისა და ზოგადად, ქვეყნის უსაფრთხოების სექტორის წინააღმდეგ მიზანმიმართულად მიმდინარეობდა დამაზიანებელი კამპანია.

სამსახურის თანამშრომლების მიმართ ვრცელდებოდა ისეთი აბსურდული და დამაზიანებელი ბრალდებები, როგორცაა ადამიანების მკვლელობა, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა და მათ სასარგებლოდ ჯამუშობა. ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია სამსახურის მიერ კანონსაწინააღმდეგო ფორმით სხვადასხვა პროცესში ჩართულობის შესახებ.

აღნიშნული გზით სახელმწიფო ინსტიტუტებისა და განსაკუთრებით, ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყების მიმართ მოსახლეობაში უნდობლობის გაღვივება ცალსახად შეიცავს ანტისახელმწიფოებრივ მიზნებს და გარდა მოცემულ ეტაპზე წარმოშობილი ზიანისა, რთულად გამოსასწორებელი შედეგები მოაქვს. ამ მიმართულებით აუცილებელია არსებობდეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანი უწყებებისა და მათი წარმომადგენლების სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

## კიბერუსაფრთხოება

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ფარული მოქმედებების ნაწილს წარმოადგენს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და მათთან დაკავშირებული აქტორების მიერ განხორციელებული კიბერშეტევები და კიბერსადაზვერვო ოპერაციები. აღნიშნულის მიზანი ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფა, საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებისა და



სხვადასხვა ორგანიზაციის ფუნქციონირების შეფერხება და ამით საზოგადოებაში მღელვარებისა და დაუცველობის განცდის დანერგვა.

2020 წელს, ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით შექმნილი გლობალური კრიზისის ფონზე, განსხვავებულად რადიკალური და აგრესიული ხასიათი შეიძინა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ მართულმა კიბეროპერაციებმა. გამოვლინდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჯანდაცვისა და სამეცნიერო დაწესებულებებზე არაერთი კიბერთავდასხმისა და კიბერშპიონაჟის ფაქტი.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა 2020 წლის სექტემბერში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე განხორციელებული კიბერთავდასხმა, რომლის შედეგად ადგილი ჰქონდა სამედიცინო და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, მათ შორის, რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას და ერთ-ერთ უცხოურ ვებგვერდზე მასობრივად ხელმისაწვდომ ფორმატში ატვირთვას.

აღნიშნულ ავთენტურ დოკუმენტაციასთან ერთად, ვებგვერდზე განთავსდა განზრახ გაყალბებული დოკუმენტები, რაც მიზნად ისახავდა ლაბორატორიის საქმიანობასთან დაკავშირებით როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, საქართველოს იმიჯის შელახვას და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის დისკრედიტაციას.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ თავდასხმას წინ უსწრებდა პანდემიის ფონზე უწყების წინააღმდეგ გააქტიურებული დეზინფორმაციული კამპანიები და დესტრუქციული პროცესები, მათ შორის, რუსეთის ხელისუფლების საოკუპაციო ძალებისა და დე ფაქტო რეჟიმების წარმომადგენლების განცხადებები.

საანგარიშო პერიოდში სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და მათი მომართვის საფუძველზე, შეიმუშავებდა საკონსულტაციო/სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებს, ასევე დახმარებას უწევდა კიბერინციდენტებიდან მომდინარე უარყოფითი შედეგების მინიმიზების პროცესში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გასული წლების განმავლობაში, საჯარო კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მიმართ არაერთი კიბერშეტევა განხორციელდა, მათ შორის, თავდასხმის სამიზნეები გახდნენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, პარლამენტის, სხვადასხვა სამინისტროს, საკრებულოების, საერთო სასამართლოების, ასევე, მედიაორგანიზაციებისა და სხვა დაწესებულებების ვებგვერდები და ელექტრონული სისტემები.

საქართველოს წინააღმდეგ მიმართული კიბეროპერაციების ფარგლებში, მოწყვლადი წერტილების აღმოჩენის მიზნით, ცალკეული ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიერ მიმდინარეობდა კრიტიკული ინფორმაციული სისტემების არქიტექტურის შესწავლა. კიბერაქტორები იყენებდნენ დახვეწილ და კარგად შენიღბულ მეთოდებს, მათ შორის, ე.წ. ფიშინგს, რთული ალგორითმებით დაშიფრულ მავნე კოდებს და მათი მართვის პანელებს, ასევე, დაშიფრულ ქსელურ არხებს და უცხოურ ე.წ. ჰოსტინგ-კომპანიებში არსებულ ინფრასტრუქტურებს.

აღნიშნული ინციდენტები ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს ქვეყანაში ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების სისტემის რეფორმირების აუცილებლობაზე, რაც უნდა გამოიხატოს როგორც ახალ გამოწვევებს მორგებულ საკანონმდებლო რეგულაციების მიღებაში, ასევე, კიბერუსაფრთხოების სფეროში ჩართული შესაბამისი უწყებების შესაძლებლობების ამაღლებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული უფლებამოსილებები და ვალდებულებები ინფორმაციული და კიბერსივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. შესაბამისად, კიბერუსაფრთხოების სისტემის რეფორმირება უნდა დაეფუძნოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და საკანონმდებლო დონეზე მოხდეს სფეროზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ფუნქცია-მოვალეობების მკაფიო რეგლამენტირება.

აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მიერ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკანონმდებლო ცვლილებების პროცესის ინიცირება. ამჟამად კანონპროექტი განიხილება პარლამენტში.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მიღება უზრუნველყოფს ამ სფეროში აუცილებელი რეფორმების დროულად განხორციელებას და ქვეყნის კიბერუსაფრთხოების სისტემის მდგრადობის ამაღლებას.

## **ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა**

2020 წელს ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები უცვლელად იდგა თანამედროვე მსოფლიოს დღის წესრიგში. აღნიშნულ პერიოდში, ტერორისტულმა ორგანიზაცია „დაეშმა“ შეძლო საკუთარი სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება. „ალ-ქაიდა“ გარკვეული დანაკარგები განიცადა, თუმცა მისი ლოკალური დანაყოფები განაგრძობდნენ აქტიურობას. „თალიბანი“, ძირითადად, კვლავ რეგიონულ დონეზე მოქმედებდა და საკუთარი პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერება მოახერხა.

ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ტერაქტების განხორციელების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადგილი მაინც ჰქონდა ტერორისტულ და ექსტრემისტულ თავდასხმებს. ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მხარდამჭერი პირებისა და დაჯგუფებების მიერ ინიცირებული ძალადობის ძირითად მოტივს კვლავ რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური შეუწყნარებლობა წარმოადგენდა.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით აქტიურ მუშაობას აგრძელებდა, რაც სხვა მიმართულებებთან ერთად ითვალისწინებდა საერთაშორისო ტერორისტული საფრთხეების გამოვლენას, ტერორიზმის საწინააღმდეგო პრევენციული სახის აქტივობებს, ტერორისტული გამოწვევების წინააღმდეგ მიმართული მექანიზმების გაუმჯობესებას.

მიმდინარეობდა ტერორისტულ საფრთხეებზე რეაგირების ინსტრუმენტებისა და შესაძლებლობების განვითარება. ინფორმაციის გაცვლის მიმართულებით, საერთაშორისო პარტნიორებთან გრძელდებოდა მჭიდრო თანამშრომლობა. ხორციელდებოდა მაღალი რისკის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების და შესაძლო ტერორისტული თავდასხმის სამიზნე სხვა ლოკაციების იდენტიფიცირება, ტარდებოდა ადგილზე უსაფრთხოების გაძლიერებისკენ მიმართული სამუშაოები. ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფების თანამშრომლები მუდმივად იმაღლებდნენ კვალიფიკაციას.

საქართველოს მიერ ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გაწეული ძალისხმევა პოზიტიურად შეფასდა ტერორიზმის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელშიც ნათქვამია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, როგორც საქართველოში ტერორისტულ ინციდენტებზე რეაგირებისა და გამოძიების კუთხით წამყვანი უწყება, კარგად აღჭურვილი და მომზადებულია. დოკუმენტში აღნიშნულია ტერორიზმის შემთხვევებზე სახელმწიფოს ეფექტურად რეაგირების, გამოვლენის და შეკავების შესაძლებლობები.

ქვეყნის კონტრტერორისტული საქმიანობა დადებითადაა შეფასებული ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ ევროკავშირის ყოველწლიურ ანგარიშშიც, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველო სათანადო ყურადღებას უთმობს ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

აღსანიშნავია, რომ „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში „გლობალური ტერორიზმის ინდექსი“, საქართველო, ტერორიზმის ზეგავლენის კუთხით, კვლავ ძალიან დაბალი რისკის ქვეყნებს შორის მოხვდა, სახელმწიფოს მიერ შესაბამის სიაში დაკავებული პოზიცია, 2019 წელთან შედარებით, 10 საფეხურით გაუმჯობესდა.

## საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები და მათგან მომდინარე საფრთხეები

### „დაეში“

გასული წლის განმავლობაში „დაეში“ ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება შეძლო. ტერორისტულმა ორგანიზაციამ გლობალური პანდემიით განპირობებულ ახალ რეალობასთან ადაპტირება მოახერხა და მხარდამჭერებს მასზე მორგებული ნარატივი შესთავაზა.

მნიშვნელოვანი სირთულეების მიუხედავად, „დაეში“ პოზიციები გაიუმჯობესა სირიასა და ერაყში, სადაც ტერორისტული თავდასხმების რიცხვი გაზარდა, ასევე, განაგრძობდა ფინანსური რესურსების მობილიზებას. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კოალიცია განაგრძობდა ტერორისტული ორგანიზაციის შესაბამისი სამინიშნების განეიტრალებას.

2020 წელს კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა სირიის ჩრდილოეთში მდებარე ბანაკებში განთავსებული ტერორისტული ორგანიზაციის მებრძოლთა ოჯახის წევრების საკითხი. ადგილზე იმყოფება ათასობით ადამიანი, მათ შორის, ევროპის ქვეყნების მოქალაქეები. საანგარიშო პერიოდში ისინი მნიშვნელოვან ლოკალურ საფრთხეს წარმოადგენდნენ - ადგილზე ახორციელებდნენ თავდასხმებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი ასევე ახერხებდნენ გაქცევას.

საანგარიშო პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიაში შეინიშნებოდა „დაეშთან“ დაკავშირებული ჯგუფის გარკვეულწილად გააქტიურება, თუმცა, კონტრტერორისტული ოპერაციების შედეგად, დაჯგუფების წევრთა დიდი ნაწილის ლიკვიდაცია განხორციელდა.

2020 წელს მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ „დაეშის“ აფრიკაში მოქმედი რეგიონული დანაყოფები და მასთან დაკავშირებული ადგილობრივი დაჯგუფებები. მათ სამიზნეს წარმოადგენდნენ როგორც კონტინენტის რიგი ქვეყნების უსაფრთხოების ძალები, ისე მშვიდობიანი მოქალაქეები.

„დაეში“ საერთაშორისო ტერორიზმის ძირითად აქტორად და ცივილიზებული სამყაროსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ტერორისტულ ორგანიზაციას ათასობით მხარდამჭერი ჰყავს, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე, სხვადასხვა ქვეყანაში იმყოფებიან. შესაბამისი დავალების არსებობის შემთხვევაში, მათ კვლავ შესწევთ ტერორისტული თავდასხმების განხორციელების უნარი.

### „ალ-ქაიდა“

2020 წელს „ალ-ქაიდა“ მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა, რაც სხვადასხვა რეგიონული დანაყოფების ლიდერთა ლიკვიდაციით იყო განპირობებული. აღნიშნულის მიუხედავად, ტერორისტული ორგანიზაცია აქტიურად განაგრძობდა მოქმედებას ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის კონტინენტზე. მის დეკლარირებულ სამიზნეს კვლავ დასავლეთი წარმოადგენდა.

ჩრდილო-დასავლეთ სირიაში მოქმედ „ალ-ქაიდას“ სირიულ დანაყოფს „ჰურას ალ-დინსა“ და წარსულში ამავე ტერორისტულ ორგანიზაციასთან აფილირებულ ისლამისტურ დაჯგუფება „ჰაიათ თაჰრირ ალ-შამს“ შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად გამწვავდა. იმავდროულად, ეს უკანასკნელი აქტიურად უპირისპირდებოდა „ალ-ქაიდას“ იდეოლოგიას და მისი მომხრეების მიმართ რეპრესიული ზომებით გამოირჩეოდა. სირიის აღნიშნულ ნაწილში საერთაშორისო კოალიციის დარტყმების შედეგად, ადგილი ჰქონდა „ჰურას ალ-დინის“ ლიდერების ლიკვიდაციის ფაქტებს.

გასული წლის განმავლობაში „ალ-ქაიდას“ აფრიკის რეგიონული დანაყოფები მნიშვნელოვნად გააქტიურდნენ. მათ ძირითად სამიზნეს წარმოადგენდნენ კონტინენტზე მოქმედი საერთაშორისო მისიები და ადგილობრივი სამთავრობო ძალები, თუმცა ასევე განხორციელდა თავდასხმები მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ. დაფიქსირდა შეიარაღებული დაპირისპირება აფრიკაში მოქმედ „დაეშისა“ და „ალ-ქაიდას“ ადგილობრივ დაჯგუფებებს შორის.

ტერორისტული ორგანიზაცია აქტიურად ავრცელებდა ახალი კორონავირუსის პანდემიაზე მორგებულ სხვადასხვა პროპაგანდისტულ მასალას.

„ალ-ქაიდა“ ინარჩუნებს გავლენიანი ტერორისტული ორგანიზაციის მდგომარეობას. გასათვალისწინებელია, რომ რეგიონულ დონეზე აქტიურობის გარდა, „ალ-ქაიდას“ გააჩნია შესაძლებლობები, განახორციელოს ტერაქტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ევროპის ქვეყნებში, რაც გლობალურ ტერორისტულ საფრთხეს წარმოადგენს.

### „თალიბანი“

2020 წელს „თალიბანის“ მიერ ავღანეთში განხორციელებული თავდასხმების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ტერორისტული ორგანიზაციის ძირითად სამიზნეს ქვეყნის უსაფრთხოების ძალები წარმოადგენენ, თუმცა, ასევე მაღალია „თალიბანის“ ტერაქტების შედეგად დაღუპულ მშვიდობიან მოქალაქეთა რიცხვი. გარკვეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა „თალიბანსა“ და ავღანეთში მოქმედ „დაეშის“ დანაყოფს შორის დაპირისპირებას. არსებობს ვარაუდი, რომ ტერორისტული ორგანიზაცია კავშირს ინარჩუნებდა „ალ-ქაიდასთან“.

„თალიბანი“ კვლავ რჩება ავღანეთში მოქმედ მთავარ ტერორისტულ ორგანიზაციად. სავარაუდოდ, იგი საკუთარ შესაძლებლობებს მომავალშიც შეინარჩუნებს და რეგიონში მნიშვნელოვან სირთულეებს შექმნის.

გასული წლის განმავლობაში, „თალიბანის“ მხრიდან ავღანეთში დისლოცირებულ საქართველოს თავდაცვის ძალებზე თავდასხმები არ განხორციელებულა. თუმცა, საქართველოსთვის აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაციიდან მომდინარე ძირითად საფრთხედ კვლავ ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ ფარგლებში ადგილზე მყოფ დანაყოფებზე ტერაქტების განხორციელების შესაძლებლობა განიხილება.

### ***ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი***

გასული წლის განმავლობაში მსოფლიოში ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმიდან მომდინარე საფრთხემ ახალ, შეიძლება ითქვას, კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია. აღნიშნული მიმართულებით არსებული სხვადასხვა იდეოლოგიის მიმდევარმა ჯგუფებმა შეძლეს გლობალური პანდემიით გამოწვეული სირთულეების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების ფონზე, მოქალაქეების ინტერნეტსივრცეზე დამოკიდებულების გაძლიერების შედეგად, ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა საკუთარი მხარდამჭერების რიცხვის გაზრდა მოახერხეს. მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ადგილი ჰქონდა აღნიშნული გამოწვევის მრავალ გამოვლინებას, მათ შორის, თავდასხმებს რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების და სხვა ნიშნით შერჩეულ სამიზნეებზე.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, ახალი კორონავირუსის გლობალურმა გავრცელებამ ბიოლოგიური ტერორიზმის კუთხით არსებული გამოწვევებისადმი მსოფლიოს განსაკუთრებული მოწყვლადობა გამოავლინა. სხვადასხვა ტერორისტული და ექსტრემისტული დაჯგუფებების მხრიდან ვრცელდებოდა მოწოდებები და ინსტრუქციები ახალი კორონავირუსის ბიოლოგიურ იარაღად გამოყენების შესახებ.

აღნიშნული საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მუდმივად მიმდინარეობდა ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების შეფასება-ანალიზი, შესაძლო საფრთხეების გამოვლენა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.

### **საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული საფრთხეები და გამოწვევები**

**საქართველოსთვის ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან მომდინარე საფრთხეები და გამოწვევები:**

- სირიასა და ერაყში „დაეშისა“ და „ალ-ქაიდას“ რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის მცდელობა;
- უცხოელი ტერორისტი მებრძოლების, ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირების საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის მცდელობა, მათ შორის ტრანზიტული მიზნით;
- ტერორისტული ორგანიზაციების მიერ საქართველოში მოქალაქეების რეკრუტირების მცდელობა;
- საერთაშორისო ტერორისტული აქტივობების შესაძლო დაფინანსება ან სხვა სახის დახმარება;

- ტერორისტული ორგანიზაციების სავარაუდო მხარდამჭერების მიერ საქართველოში ტერაქტის შესაძლო განხორციელების მცდელობა.

**სირიასა და ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში „დაემისა“ და „ალ-ქაიდას“ რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო დაბრუნება**

საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებისთვის, პრობლემურ საკითხად რჩება სირიასა და ერაყში მყოფი ტერორისტული ორგანიზაციის შესაძლო მხარდამჭერი ან/და მათ რიგებში მებრძოლი პირების და მათი ოჯახის წევრების ქვეყანაში დაბრუნება.

სირიის არაბთა რესპუბლიკაში სავარაუდოდ იმყოფება საბრძოლო მოქმედებებში სხვადასხვა დროს მონაწილე საქართველოს 15 მოქალაქე და მათი ოჯახის წევრები.

2020 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გრძელდებოდა მუშაობა საომარი მოქმედებების ზონაში მყოფი, ტერორისტულ აქტივობებში ჩართულ პირთა წინააღმდეგ დამატებითი მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა „დაემის“ ერთ-ერთი მეთაურის, საქართველოს მოქალაქე ცეზარ ტოხოსაშვილის უკრაინაში დაკავება და მისი ექსტრადირება. ტოხოსაშვილს საქართველოს სასამართლომ ტერორისტული ორგანიზაციის წევრობისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ოჯახის წევრების დაბრუნების საკითხი განიხილება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

**უცხოელი ტერორისტი მებრძოლების, ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირების საქართველოში შემოსვლის ან/და ქვეყნის ტერიტორიის ტრანზიტული მიზნით გამოყენების მცდელობა**

საქართველოსთვის კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს უცხოელი ტერორისტი მებრძოლების, ასევე, ტერორისტულ საქმიანობასთან სხვაგვარად დაკავშირებული პირების საქართველოში შემოსვლის ან/და ქვეყნის ტერიტორიის ტრანზიტული მიზნით გამოყენების მცდელობა.

კონფლიქტის ზონაში მოქმედ პირთა დიდმა ნაწილმა მოახერხა სირია-ერაყის ტერიტორიის დატოვება, საიდანაც, ზოგიერთი სახელმწიფოს გავლით, ისინი სხვადასხვა ქვეყანაში შედგენას ცდილობდნენ. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კოორდინირებით, კვლავ გრძელდებოდა მსგავსი მარშრუტებით საქართველოში აღნიშნულ პირთა შემოსვლის შესაძლებლობის შეზღუდვა, მუდმივად კონტროლდებოდა ამ მიზნით გამოსაყენებელი შესაძლო არხები და დერეფნები, ასევე, სახელმწიფო საზღვრზე გაძლიერდა კონტრტერორისტული სკრინინგი.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად განაგრძობდა მუშაობას ტერორიზმთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების იმპლემენტაციის მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის სამუშაო ჯგუფს წარუდგინა ინფორმაცია საქართველოს ორი მოქალაქის შესახებ.

*ტერორისტული ორგანიზაციების მიერ საქართველოში მყოფ პირთა გადაბირების მცდელობა* პანდემიის პირობებში, მოქალაქეთა ინტერნეტსივრცეზე დამოკიდებულების გაზრდის პარალელურად, ტერორისტული და ექსტრემისტული ნარატივის მიმართ პირთა მოწყვლადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად ახორციელებდა კიბერსივრცეში რადიკალური კონტენტის მონიტორინგს, რომელთა გავრცელების ზოგიერთი ფაქტის იდენტიფიცირებას შესაბამისი რეაგირება მოჰყვა.

საქართველოში არ დაფიქსირებულა კერები, სადაც მიმდინარეობდა ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელება.

ასევე, უკანასკნელი წლების მსგავსად, 2020 წელს არ გამოვლენილა სირიასა და ერაყში საქართველოს მოქალაქეთა გამგზავრების არც ერთი ფაქტი.

*საერთაშორისო ტერორისტული აქტივობების შესაძლო დაფინანსება ან სხვა სახის დახმარება* საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა შესაბამისი ზომების გატარებას საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების ან სხვა სახის მხარდაჭერის აღსაკვეთად. ხორციელდებოდა სათანადო ოპერატიული და საგამომიებო მოქმედებები და ტერორიზმთან შესაძლო კავშირის მქონე ფინანსური ოპერაციების/ტრანზაქციების მონიტორინგი. გარკვეულ შემთხვევებში, საჭირო გახდა სხვადასხვა ოპერაციების კომპლექსური შესწავლა. გარდა ამისა, მიმდინარეობდა ტერორიზმის დაფინანსების თანამედროვე, უახლესი მეთოდებისა და ტენდენციების კვლევა. შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, 2020 წელს საქართველოში ან საქართველოდან ტერორიზმის ფინანსური მხარდაჭერის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

საქართველოს ძალისხმევა ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში დადებითად შეაფასა ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტმა (Moneyval). ანგარიშში



აღნიშნულია, რომ საქართველოს აქვს ტერორიზმის დაფინანსების იდენტიფიცირებისა და რეაგირების ეფექტური სისტემა.

### *ტერორისტული ორგანიზაციების სავარაუდო მხარდამჭერების მიერ საქართველოში ტერაქტის შესაძლო განხორციელების მცდელობა*

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტიური მუშაობის შედეგად, საქართველოში ტერორიზმის შესაძლო მხარდამჭერთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო მათი შესაძლებლობები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. კერძოდ, მათ არ ეძლეოდათ სტრუქტურირებული ქსელის ფორმირების, ასევე, ტერორისტული აქტივობების მომზადებისა და სისრულეში მოყვანის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში საქართველოში ტერორისტული თავდასხმები არ განხორციელებულა.

სამსახური განაგრძობდა ტერორისტული ორგანიზაციების იდეოლოგიის მიმართ ლოიალურად განწყობილი შესაძლო პირების, მათი მხარდამჭერებისა და პროპაგანდის განმახორციელებლების ოპერატიულ კონტროლს. საანგარიშო პერიოდში ტერორისტული იდეოლოგიის შესაძლო მხარდამჭერ უცხო ქვეყნის რამდენიმე მოქალაქეს, შესაბამის უწყებებთან კოორდინირებით გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიის დატოვება მოუხდა.

საგულისხმოა, რომ ტერორიზმის მხარდამჭერ პირთა აქტივობებისთვის საქართველო ხელსაყრელ ლოკაციას არ წარმოადგენს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა შესაბამისი უწყებების მხრიდან განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, მათ მინიმუმამდე ეზღუდებოდათ მოქმედების არეალი, დაფინანსებისა და მხარდამჭერთა მოპოვების შესაძლებლობები.

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული, ცენტრალური ხელისუფლებისთვის, უკონტროლო ვითარება კვლავ ქმნიდა ტერორისტული აქტივობებისთვის ხელსაყრელ გარემოს.

### *სისხლის სამართლის საქმეები*

2020 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებას. საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა როგორც ახალგამოვლენილი დანაშაულის ფაქტებზე, ასევე გასულ წლებში დაწყებულ საქმეებზე.

სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 9 საქმეზე. 3 საქმეზე დადგა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. დანარჩენ საქმეებზე გრძელდება ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები.

## ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უწყებების მიერ ხორციელდებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შესაბამისი აქტივობები, რა დროსაც, აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა სამოქალაქო სექტორთან.

ცვლილებები შევიდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში. წევრის სტატუსით კომისიაში განისაზღვრნენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები, რის შედეგადაც გაიზარდა აღნიშნული კომისიის ლეგიტიმაცია.

## **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი პრევენციისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაა. კორუფციული დანაშაულების თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო განაგრძობდა ოპერატიულ-სამძებრო, საგამოძიებო, ანალიტიკური და პრევენციული მოქმედებების განხორციელებას.

საჯარო დაწესებულებებში კორუფციის არსებობა მრავალმხრივ აზიანებს სახელმწიფოს ინტერესებს და რისკის ქვეშ აყენებს ეროვნულ უსაფრთხოებას. სამოხელეო და კორუფციულ დანაშაულებში ჩართული საჯარო მოსამსახურეები, შესაძლოა, მოწყვლადები აღმოჩნდნენ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მიმართ ან/და წარმოადგენდნენ სხვადასხვა დანაშაულებრივი ჯგუფებისა თუ ცალკეულ პირთა დაინტერესების ობიექტებს.

კორუფცია მნიშვნელოვნად აფერხებს დემოკრატიულ პროცესებს, ხელს უშლის საჯარო უწყებების ეფექტიან ფუნქციონირებას, ზიანს აყენებს კერძო სექტორის საქმიანობას და ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს. იგი არსებით გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ და მატერიალურ კეთილდღეობაზე, ამცირებს მოქალაქეთა ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სისტემების მიმართ.

კორუფციის აღმოფხვრისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ძალისხმევა მიმართული იყო პრევენციაზე დამყარებული ღონისძიებების განხორციელებისა და კორუფციული ფაქტების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა-აღკვეთისაკენ.

შესაბამისად, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა ეფექტიანი და პროაქტიული ანტიკორუფციული მექანიზმების გაძლიერება და ამ მიმართულებით, მყარი ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბება. 2020 წელს მიმდინარეობდა ანტიკორუფციულ სააგენტოში შექმნილი კორუფციის პრევენციის სამსახურის შემდგომი განვითარება და პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება.

2020 წელს აღნიშნულმა დანაყოფმა საზოგადოების ჩართულობის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. გაანალიზდა საჯარო მოხელეების მხრიდან შესაძლო კორუფციულ სამართალდარღვევებზე მოქალაქეთა მიმართვის და მათზე რეაგირების შიდა და საერთაშორისო მექანიზმები და ამ კუთხით არსებული გამოწვევები. მიმდინარეობდა მუშობა მოსახლეობასთან კომუნიკაციის ახალი მიდგომების დანერგვის მიმართულებით. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებას.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, როგორც საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთ-ერთი უწყება, აქტიურად იყო ჩართული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში.

კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით ეფექტიანი პრევენციული პოლიტიკის გასატარებლად, სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ პრიორიტეტად განისაზღვრა კორუფციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ორგანიზება კორუფციისთვის მოწყვლადი ჯგუფებისა და სექტორებისთვის, მათ შორის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის. ამ მიმართულებით მომზადდა შესაბამისი თემატიკა, განისაზღვრა სამიზნე აუდიტორია და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ორგანიზება 2021 წლის განმავლობაში იგეგმება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ კორუფციის პრევენციის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა კორუფციული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა ჩართულობა. 2020 წელს ანტიკორუფციულ სააგენტოში შესაძლო დანაშაულის შესახებ მოქალაქეთა მხრიდან შემოვიდა 55 განცხადება. აქედან, მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, 12 განცხადების საფუძველზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება, 12 მათგანზე მიმდინარეობს შესწავლა, 23 განცხადება, კომპეტენციის გათვალისწინებით, გადაიგზავნა სხვა უწყებებში, ხოლო 8 განცხადება არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს.

### **სისხლის სამართლის საქმეები**

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2020 წელს დაკავებული და ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემული იქნა არაერთი

თანამდებობის პირი და საჯარო მოხელე. მათ შორის, ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულ იქნა მოქმედი მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე, რომლებმაც მეწარმეს ქრთამის სახით მოსთხოვეს დიდი ოდენობის თანხა, საიდანაც წინასწარ გამოართვეს გარკვეული ნაწილი.

გარდა ამისა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მითვისების, მითვისებაში დახმარებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტზე დააკავეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ "მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი. სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ასევე, მიეცნენ ამავე სააგენტოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე იქნა დაკავებული ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი. ქრთამის აღების და ორგანიზებული ჯგუფის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, პასუხისგებაში მიეცა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მესაზღვრე პატრულ-ინსპექტორი.

ასევე, დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე იქნა დაკავებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი, რომელმაც თურქეთის მოქალაქეებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემისა და მფარველობის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 30 000 ლარი გამოართვა.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომელი, რომელიც ხელს უწყობდა მასთან კავშირში მყოფი პირების მიერ სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვებას და ამ გზით განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღებას.

ამასთან, დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე იქნა დაკავებული აჭარის ა. რ.-ის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიწის მართვის სამსახურის უფროსი, ხოლო წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე - სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ერთ-ერთი თანამშრომელი.

საანგარიშო პერიოდში, სამსახურის მიერ გატარებული შესაბამისი ღონისძიებების შედეგად, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს საქართველოში მცხოვრები ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებსაც უკანონო ფულადი ოპერაციებისა და თანხების კონვერტაცია-გადარიცხვების საფუძველზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი ჰქონდათ მიღებული.

2020 წელს, ასევე, გამოვლინდა ჯგუფურად დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტი, რა დროსაც მოქალაქეთა ჯგუფი ქ. ქობულეთში სასტუმროს მშენებლობით დაინტერესებულ უცხოელ ინვესტორს, მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით შეძენასა და შესაბამისი სამშენებლო ნებართვის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ, 350 000 აშშ დოლარის გადახდას სთხოვდა. აღნიშნული უკანონო საქმიანობის განხორციელებისას, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები უკანონოდ მოქმედებდნენ აჭარის ა. რ.-ის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის სახელით და ინვესტორს მოტყუებით ჰპირდებოდნენ მის სამსახურებრივ მფარველობას.

2020 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 66 საქმეზე, ხოლო ბრალდებულის სახით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 72 პირი, მათ შორის ქრთამის აღების ან/და ქრთამის აღებაში დახმარების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი გულგრილობის, დიდი ოდენობით თაღლითობის, მითვისება-გაფლანგვის, უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და სხვა ფაქტებზე. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო ეფექტიანად ახორციელებდა კორუფციის საწინააღმდეგო კომპლექსურ ღონისძიებებს, ახალი კორონავირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საგამოძიებო მოქმედებების წარმოების მიმდინარეობაზე.

## სამართლებრივი ბაზის განვითარება და სასამართლოებთან ურთიერთობა

სამსახურის სათანადო ფუნქციონირებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამართლებრივი ბაზის განვითარებას და შესაბამისი ნორმატიული აქტების შემუშავებას.

2020 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მომზადდა და გამოიცა 170-მდე ახალი სამართლებრივი აქტი. ხოლო სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ შემუშავებულ 200-ზე მეტი აქტის პროექტზე სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. საიდუმლო ნორმატიული აქტების შემუშავების მიმართულებით, სამსახურმა, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, ნდობის ჯგუფს პროაქტიულ რეჟიმში გასაცნობად გაუგზავნა სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული შესაბამისი საიდუმლო ნორმატიული აქტები.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ან/და დაიხვეწა მთელი რიგი შიდასამსახურებრივი რეგულაციები, მათ შორის, დამტკიცდა სამსახურში სამუშაოდ მისაღები კანდიდატების

ტესტირების განახლებული პროცედურა და მეთოდები. ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, თანამშრომლებისთვის განისაზღვრა კონკრეტული ვალდებულებები და გამოიცა ინსტრუქციები, რაც უკავშირდებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადასვლას.

ცვლილებები იქნა შეტანილი სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსშიც, რომელშიც სრულად აისახა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სტრუქტურული რეფორმების ფარგლებში, სამსახურის მმართველობის სფეროში ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ჩამოყალიბდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი და მომზადდა შესაბამისი ნორმატიული ბაზა.

სამსახურში მოქმედი დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ პირთა უფლებების დასაცავად, შესაბამის ნორმატიულ აქტებში განხორციელდა ცვლილებები, მათ შორის, დამტკიცდა უფრო მაღალი სტანდარტების სამედიცინო პროტოკოლები წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აღმოჩენის მიმართულებით. ასევე, განისაზღვრა ერთიან მონაცემთა ელექტრონული ბაზის წარმოების პროცედურები და შეიცვალა ვიდეომეთვალყურეობის ჩანაწერების შენახვის ვადები, რაც შესაბამისი სახედამხედველო ინსტიტუციებისთვის უზრუნველყოფს იზოლატორში მოთავსებულ პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტების გამოვლენის უფრო ეფექტიან შესაძლებლობას.

საანგარიშო პერიოდში გამოიცა სამსახურის უფროსის ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) კლასიფიცირებული ინფორმაციის ქვერეგისტრის შექმნის შესახებ“, რაც უზრუნველყოფს ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის უსაფრთხოებას. ასევე განისაზღვრა აღნიშნულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საკონტროლო დავალებების ფარგლებში, 2020 წელს სამსახურის მხრიდან შეუფერხებლად მიმდინარეობდა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება მთავრობის სამართლებრივი აქტების გარდამავალი რეგულაციებით შესასრულებელი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის აქტიური მონაწილეობით, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის საქმიანობის ფარგლებში, მომზადდა არაერთი ახალი რეგულაცია მიგრაციის მართვის სისტემების გაუმჯობესებისა და მასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხების მიმართულებით.

ამავდროულად, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის კუთხით.

შესაბამისი განჩინების საფუძველზე, საერთო სასამართლოებს სამსახურის მიერ შეუფერხებლად მიეწოდა საქმეების განხილვისათვის საჭირო საიდუმლო და არასაიდუმლო

ინფორმაცია/მტკიცებულებები (საერთო ჯამში, 1108 ინფორმაცია/მტკიცებულება). ამასთან, დამუშავდა სასამართლოებიდან შემოსული 600-ზე მეტი დოკუმენტი. 2020 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 30-ზე მეტი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლო დავის საქმე, საიდანაც 14 - დასრულდა სხვადასხვა ინსტანციაში. თითოეულ შემთხვევაში სასამართლომ სამსახურის პოზიცია დასაბუთებულად მიიჩნია, რაც აისახა შესაბამის გადაწყვეტილებებში.

სასამართლოებთან ურთიერთობის მხრივ, ასევე აღსანიშნავია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ წარმოებული საქმის გამოძიების ხელშეწყობა. სამსახურის მიერ განხორციელდა რიგი დოკუმენტაციის (მტკიცებულებების) განსაიდუმლოება, მათ შორის, რუსეთ-საქართველოს ომის ინციდენტებთან დაკავშირებული მასალების იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით წარდგენა.

## პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ზედამხედველობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

### პერსონალურ მონაცემთა დაცვა

სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება, კანონმდებლობის შესაბამისად, ქვეყნის ტერიტორიაზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელება.

აღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელებისას უადრესად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

საკანონმდებლო რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ-ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქმიანობას სახელმწიფო ინსპექტორი და რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტი ზედამხედველობს. მათ შორის, ხორციელდება საპარლამენტო, პრემიერ-მინისტრის, სასამართლოს, პროკურატურისა და სახელმწიფო აუდიტის კონტროლი.

საანგარიშო წლის განმავლობაში სააგენტოს მხრიდან შეუფერხებლად მიმდინარეობდა სახელმწიფო ინსპექტორისთვის კანონმდებლობის შესაბამისად გამოთხოვილი ინფორმაციის მიწოდება და ინსპექტორის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელი ყველა პირობის უზრუნველყოფა.

2020 წლის განმავლობაში უფლებამოსილმა საგამოძიებო ორგანოებმა სსიპ-ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში სულ წარადგინეს მოსამართლის 1774 განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების შესახებ და პროკურორის 205 მოტივირებული

**დადგენილება გადაუდებელი წესით ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების თაობაზე.**

სააგენტოს მიერ განხორციელებულ აღნიშნულ საქმიანობას სახელმწიფო ინსპექტორი კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემების გამოყენებით აკონტროლებს, რომელიც მას საშუალებას აძლევს, მიმდინარე რეჟიმში გააკონტროლოს სატელეფონო მიყურადების ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობა და კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობა. აღნიშნული წარმოადგენს რეალურ დროში კონტროლის იშვიათ და უნიკალურ შესაძლებლობას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკურმა სააგენტომ, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის ნდობის ჯგუფისთვის წარსადგენად, მოამზადა გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს 2020 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის პირველ იანვრამდე პერიოდს.

სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებათა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესწავლასა და შესაბამისი მიდგომების დანერგვას.

### **ზედამხედველობა**

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე, კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებულების ფარგლებში, პროაქტიულ რეჟიმში, ასევე მოთხოვნის შესაბამისად, წარადგინა უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა მოხსენება და საინფორმაციო ანგარიშები.

აქტიურად გამოიყენებოდა შიდაკონტროლის მექანიზმები. ამ თვალსაზრისით ხაზგასასმელია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ძალისხმევა დროებითი მოთავსების იზოლატორის ფუნქციონირების, მათ შორის, ნორმატიული ბაზის დახვეწის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში იზოლატორში მოთავსებულ პირთა მიმართ დაცული იყო სამედიცინო მომსახურების მაღალი სტანდარტები, ასევე, გათვალისწინებული იყო ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული პრევენციული ზომები.

შიდა მონიტორინგის შედეგად, მოთავსებულ პირთა მიმართ იზოლატორის თანამშრომელთა მხრიდან წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის (არასათანადო მოპყრობის) ფაქტები არ დაფიქსირებულა და არც დაკავებულ პირთა მხრიდან ყოფილა რაიმე სახის პრეტენზია ხარვეზების ან/და დარღვევების შესახებ.

ამასთანავე, ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის, ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის



შესრულების შუალედური მონიტორინგისა და რეკომენდაციის შედეგად, 2020 წელს სამსახურმა იზოლაციაში მოთავსებულ პირებთან მიმართებით დაიწყო სტატისტიკის წარმოება საზოგადოებრივი და კერძო ადვოკატების ვიზიტებთან დაკავშირებით.

მიმდინარეობდა სამსახურის სისტემაში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების, მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსით დადგენილი ძირითადი პრინციპებისა და ქცევის წესების, დისციპლინური ნორმებისა და სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფა. სამსახური აქტიურად განაგრძობდა მოსამსახურის საქმიანობის შიდა კონტროლის მექანიზმების გამოყენებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახურის გენერალური ინსპექცია სისტემატურად ახორციელებდა მოსამსახურის საქმიანობის კონტროლს.

2020 წელს, სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, დადგინდა მოსამსახურეთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტები, რაზეც სათანადო რეაგირება აგანხორციელდა. კერძოდ, სამსახურის გენერალური ინსპექციის დასკვნების საფუძველზე, მოსამსახურეებს შეეფარდათ 75 დისციპლინური სახდელი, მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნა - 10, სასტიკი საყვედური - 15, საყვედური - 20, შენიშვნა - 18 და სხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულად ცნობის მომენტიდან, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, თანამდებობიდან დროებით იქნა გადაყენებული ერთი მოსამსახურე.

2020 წელს სამსახურის გენერალურმა ინსპექციამ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 7 საქმეზე, 2 საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 3 პირის მიმართ, ხოლო სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა 1 პირი.

### **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა**

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა საზოგადოებასთან ურთიერთობა და მისი ეფექტიანობის გაზრდა. საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების გამოწვევების თაობაზე სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების აუცილებელი წინაპირობაა. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ოფიციალური ვებგვერდისა (ssg.gov.ge) და კომუნიკაციის სხვა არხების საშუალებით, საზოგადოებას მუდმივად მიეწოდებოდა ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებისა თუ განხორციელებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ.

ამასთან, საანგარიშო წლის განმავლობაში სამსახურის მხრიდან შეუფერხებლად მიმდინარეობდა კანონმდებლობით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა. 2020 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე უწყებაში მიღებულია 65 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა - 62, ხოლო 3 განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის, კომპეტენციის შესაბამისად, გადაიგზავნა სხვა საჯარო უწყებაში. სისტემატურად ხორციელდებოდა ცხელი ხაზის („123“) მეშვეობით შემოსულ ინფორმაციაზე

სათანადო რეაგირება, ასევე, მუშავდებოდა სამსახურის ელექტრონული გრაფის საშუალებით (info.ssg.gov.ge) მოწოდებული ინფორმაცია. საერთო ჯამში, შესაბამისი რეაგირება განხორციელდა 431 ელექტრონულ განცხადებაზე. სამსახურის მხრიდან რეაგირება განხორციელდა მოქალაქეების, სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის, მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდან მიღებულ 2700-ზე მეტ კორესპონდენციაზე.

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, 2020 წლის 10 დეკემბერს სამსახურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული შესაბამისი ანგარიში წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს. აღნიშნული ანგარიში, ასევე, გადაიგზავნა სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

## საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია

### საერთაშორისო თანამშრომლობა

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში უმნიშვნელოვანესია მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებსა და მეგობარ სახელმწიფოებთან, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. 2020 წელს ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში პარტნიორული ურთიერთობების განსამტკიცებლად სამსახურის მხრიდან არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდში სამსახური განაგრძობდა წარმატებულ თანამშრომლობას საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა ქვეყნის ატაშეებსა და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლებთან. ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით გაიმართა ექსპერტთა და მაღალი დონის შეხვედრები საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეების შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალი რანგის პირებთან.

თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურის ხელმძღვანელობა პარტნიორებს სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს უსაფრთხოების გარემოსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების, ასევე, მთიან ყარაბაღში განვითარებული მოვლენების პარალელურად, იმ ახალ შესაძლო საფრთხეებისა და გამოწვევების შესახებ, რომლებიც საქართველოსა და რეგიონის უსაფრთხოების კუთხით გამოიკვეთა. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია 2020 წელს გამართული შეხვედრები აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და სხვა ქვეყნების დიპლომატიური მისიებისა და ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელ პირებთან.

არსებული და მოსალოდნელი საფრთხეებისა და გამოწვევების პრევენციის, მათი გამოვლენისა და აღკვეთა-განეიტრალების კუთხით, მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორებთან ინფორმაციის დროულად და უსაფრთხოდ გაცვლა და ამისთვის შესაბამისი კომუნიკაციის ინსტრუმენტებისა და სამართლებრივი მექანიზმების განვითარება. ამ მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში სამსახურმა გააძლიერა აქტიური მუშაობა საერთაშორისო დონეზე. სამსახურის ძალისხმევით გაფართოვდა იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებთანაც გაფორმდა საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებები.

2020 წელს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით, ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა საფრანგეთთან უწყებათაშორისი თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი და ევროკავშირთან „ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“ შეთანხმების მე-12 მუხლის შესაბამისად მიღებული საიმპლემენტაციო წესები.

საანგარიშო პერიოდში კვიპროსსა და ესპანეთთან დასრულდა საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებისა და ოქმის ძალაში შესვლის შესაბამისი პროცედურები.

საერთო ჯამში, ინფორმაციის გაცვლის შესახებ ანალოგიური საერთაშორისო ხელშეკრულებები დადებულია ევროკავშირსა და 24 სახელმწიფოსთან (უმეტესობა ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებია), ხოლო სხვა პარტნიორ ქვეყნებთან 2020 წელს ინიცირებულ იქნა შეთანხმების პროექტები და მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები.

ხაზგასასმელია სამსახურის აქტიური მონაწილეობა უსაფრთხოების მიმართულებით მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებსა და ანალიტიკური ცენტრების აქტივობებში, ასევე საერთაშორისო დოკუმენტების შემუშავების პროცესში, სადაც სამსახურის მხრიდან მიმდინარეობს სახელმწიფო მნიშვნელობის უსაფრთხოების საკითხების სათანადო ასახვა/გათვალისწინება.

2020 წელს სამსახურის მიერ, სამართლებრივი და უსაფრთხოების კუთხით, ანალიზი ჩაუტარდა და შესაბამისი რეაგირება განხორციელდა საერთაშორისო შეთანხმების 50-ზე მეტ პროექტზე, მათ შორის, დანაშაულთან ბრძოლის, სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის, თავდაცვის, ასევე, მიგრაციის, საჰაერო მიმოსვლისა და სხვა სფეროებში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის საფუძველზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აშშ-ის მთავრობის შესაბამის უწყებებსა და საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ფართო სპექტრი აკავშირებს. 2020 წელს მიმდინარეობდა სტრატეგიულ მოკავშირესთან სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობა და მჭიდრო კოორდინაცია. სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, გრძელდებოდა აქტიური მუშაობა ოპერატიული და ანალიტიკური

ინფორმაციის გაცვლის, საქართველოსა და რეგიონში არსებული რისკებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებისა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით.

ამასთან, აღსანიშნავია ამერიკელი პარტნიორების მხარდაჭერით განხორციელებული სხვადასხვა პროექტი, ტრენინგები, სასწავლო პროგრამები და სამსახურის ცალკეული დანაყოფების სათანადო აღჭურვის მიზნით გაწეული ტექნიკური დახმარება. თანამშრომლობის ფარგლებში, სამსახურის ათეულობით წარმომადგენელმა გაიარა მომზადება/გადამზადება სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხში, მათ შორის, კორუფციასთან, ტერორიზმთან, ქბრბ საფრთხეებთან ბრძოლის, კიბერუსაფრთხოებისა და სხვა სფეროებში. აშშ-ის მხარდაჭერით, სამსახურის თანამშრომლები ჩართული იყვნენ გრძელვადიან სამაგისტრო პროგრამებში, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულებით, ასევე მონაწილეობდნენ ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების სწავლებათა ევროპული ცენტრის, ქ. ბუდაპეშტში სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიის (ILEA), აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს აკადემიისა და ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის სტრატეგიული კვლევების ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, სემინარებსა და გადამზადების კურსებში.

ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ნატოსთან წლიური ეროვნული პროგრამისა (ANP) და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში. 2020 წელს, უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების მიზნით, სამსახურმა შეხვედრა გამართა საქართველოში ვიზიტით მყოფ ნატოს დელეგაციის წევრებთან.

2020 წელს სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ნატოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის მენიუს (PCM) ფარგლებში სხვადასხვა საკითხზე გამართულ ღონისძიებებში. ამასთან, ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთათვის გაიმართა ტრენინგი დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებსა და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის სფეროში ნატოს წევრი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში ევროკავშირთან სამართალდაცვით და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. გაიმართა არაერთი მაღალი დონის შეხვედრა ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან.

სამსახურის შესაბამისი დანაყოფები, კომპეტენციის შესაბამისად, აქტიურად იყვნენ ჩართული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის, სათანადო დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადების პროცესში. სამსახურმა, ასევე, მონაწილეობა მიიღო ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გამართული მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ქვეკომიტეტის შეხვედრაში და საქართველო-ევროკავშირის

ასოცირების კომიტეტის მეექვსე სხდომაში. აღსანიშნავია სამსახურის ჩართულობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებაში.

ამავე დროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა წარმატებულ თანამშრომლობას ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრების ინიციატივასთან (CBRN Risk Mitigation CoE Initiative). 2020 წლის იანვრიდან აღნიშნული ინიციატივის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონულ სამდივნოს უშუალოდ სამსახური მასპინძლობს.

ქბრბ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის კუთხით საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ 2020 წლის ყოველწლიურ ანგარიშში ევროკავშირმა დადებითად შეაფასა.

საანგარიშო პერიოდში სამსახური იყო ერთ-ერთი ინიციატორი და თანაავტორი საქართველო-უკრაინა-მოლდოვის სამხრეთი პროექტისა, რომელიც მიზნად ისახავს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. აღნიშნულ პროექტში სამსახურის პარტნიორია გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და სამართლის კვლევის ინსტიტუტი, ხოლო ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და ნორვეგიის მთავრობები.

საანგარიშო პერიოდში სამსახური საერთაშორისო თანამეგობრობას სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას და უზიარებდა გამოცდილებას ტერორიზმთან ბრძოლის, კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუფრცვლელობის კუთხით განხორციელებული აქტივობების შესახებ.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განაგრძობდა აქტიურ ჩართულობას ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში. 2020 წელს სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ევროპის საბჭოსა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით გამართულ სხვადასხვა რეგიონულ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და ღონისძიებებში. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია გაეროს წევრი სახელმწიფოების კონტრტერორისტული უწყებების ხელმძღვანელ პირთა გლობალური (ვირტუალური) კონფერენცია („ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული და პრაქტიკული გამოწვევები გლობალური პანდემიის პირობებში“), ეუთოს ფართომასშტაბიანი (ვირტუალური) ღონისძიება ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე („ეფექტიანი პარტნიორობა ტერორიზმის, ასევე ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით“), ასევე, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კომიტეტის (CDCT) შეხვედრები.

ამავე დროს, ევროკავშირსა და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის მიმართულებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული ორგანიზაციების ერთობლივი პროექტის - „კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში“ - ფარგლებში გამართულ აქტივობებში. 2020 წელს სამსახურისა და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ერთობლივი ორგანიზებით, გაიმართა ორდღიანი სემინარი საჯარო სექტორში კორუფციის პრევენციის თემაზე.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს შესახებ შესაბამისი ანგარიშის მომზადების პროცესში, სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტის შემფასებელ მისიასთან.

Moneyval-ის კომიტეტმა ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ძალისხმევა დადებითად შეაფასა. ანგარიშის თანახმად, საქართველომ ტერორიზმის დაფინანსების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით, ეფექტიანობის “არსებით” (Substantial) დონეს მიაღწია.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩართულია მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატებში, მათ შორის „ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის“ ფარგლებში გამართულ აქტივობებში. 2020 წელს სამსახური ეფექტიანად იყენებდა ინტერპოლთან თანამშრომლობის რესურსებსა და შესაძლებლობებს, როგორც ინფორმაციის გაცვლის, ისე გამოცდილების გაზიარების კუთხით.

შეუფერხებლად ხორციელდებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გამოცემული დოკუმენტების, მათ შორის, გაეროს რეზოლუციების, ეუთოსა და ევროპის საბჭოს შესაბამისი დოკუმენტების იმპლემენტაცია. ამასთან, სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებით და ასევე, მრავალმხრივი კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, წლის განმავლობაში მომზადდა არაერთი ანგარიში სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ მიმართულებებსა და შესაბამის საქმიანობაზე.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი იყო სამსახურის ხელმძღვანელობის მონაწილეობა საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმში, სადაც საერთაშორისო პარტნიორებსა და სახელმწიფო ორგანოებს გაუზიარეს სამსახურის ხედვა და მიდგომები კიბერუსაფრთხოების სისტემის განვითარების, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის, კიბერუსაფრთხოების შემცირებისა და მათზე მზადყოფნის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით.

## უწყებათაშორისი თანამშრომლობა და კოორდინაცია

ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეების პრევენციისა და მათზე რეაგირების პროცესში, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი ენიჭება სახელმწიფო უწყებებთან შეთანხმებულ მოქმედებებსა და ურთიერთკოორდინირებულ ღონისძიებებს. ეროვნულ დონეზე ეფექტიანი უწყებათაშორისი თანამშრომლობა არსებითად მნიშვნელოვანია სამსახურის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის.

ხაზგასასმელია საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობა შინაგან საქმეთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებთან, საქართველოს პროკურატურასა და დაზვერვის სამსახურთან, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან. დაიხვეწა აღნიშნულ უწყებებთან ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები და კიდევ უფრო განმტკიცდა მათთან კოორდინაცია.

სამსახური მუდმივად ახორციელებდა ღია და ფარული წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის ოპერატიულ და ანალიტიკურ დამუშავებას და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების შესახებ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების სათანადო ინფორმირებასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, მათ შორის, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ფარგლებში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა უწყებათაშორისი კომისიისა და საბჭოს მუშაობაში, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი კომისიაში, ანტიკორუფციულ საბჭოში, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაში, ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საქმიანობაში, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელ უწყებათაშორის საბჭოში, შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების მიზნით შექმნილ უწყებათაშორისი კომისიაში, ასევე საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიებში, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და სხვა უწყებათაშორისი მექანიზმებში.

სამსახური, ასევე, წარმოდგენილია ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელ მუდმივმოქმედ უწყებათაშორისი კომისიაში და აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების, მათი შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული ამოცანებისა და ვალდებულებების შესაბამისად, მომზადდა აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტებითა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების არაერთი ანგარიში.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი და შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი უწყებათაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის ფარგლებში, 2020 წელს სამსახურის, როგორც კომისიის თავმჯდომარე უწყების, ორგანიზებით გაიმართა კომისიის მეოთხე სხდომა. აღნიშნულ შეხვედრაზე წარდგენილ იქნა სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შესრულების 2020 წლის ანგარიში მიღწეული შედეგებისა და არსებული გამოწვევების შესახებ. კომისიის წევრებმა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის მეორე წელი დადებითად შეაფასეს. სამსახურის ორგანიზებით, სამოქალაქო სექტორთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, კომისიის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის (კომისიის წევრი უწყებების წარმომადგენლები), ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად არაერთი ღონისძიება ჩატარდა, მათ შორის უცხოელი ექსპერტების ჩართულობით.

ამავე დროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, როგორც ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე უწყების აქტიური კოორდინაციით, საანგარიშო პერიოდში მომზადდა და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინა ქბრბ საფრთხეების შემცირების 2021-2030 წლების ეროვნული სტრატეგია. ამასთან, აღნიშნული საბჭოს მუშაობის ფარგლებში, სამსახურის ხელშეწყობით, სხვადასხვა სახელმწიფო უწყება ჩაერთო არაერთ მნიშვნელოვან პროექტსა და სწავლებაში, რომელთა მიზანს ქბრბ საფრთხეებზე მზადყოფნის მიმართულებით ეროვნული შესაძლებლობების გაუმჯობესება, ერთობლივი ოპერაციებისა და ინციდენტების მართვის ეფექტიანობის ამაღლება წარმოადგენს.

შესაბამისი კონტროლების ეფექტური დაგეგმვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრუქტურებში გარკვეული საფრთხეების მიმართ ცნობიერების ამაღლება და ამ მიზნით საინფორმაციო შეხვედრების გამართვა. საანგარიშო პერიოდში, სამსახური შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და წარმომადგენლებს მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას უსაფრთხოების საკითხებზე.

პანდემიის გარშემო შექმნილი ვითარების მიუხედავად, გაიმართა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების არაერთი შეხვედრა, ჩატარდა ერთობლივი ღონისძიებები, მათ შორის, ტრენინგები და სხვადასხვა თემატური შეხვედრები (ძირითადად, ვირტუალურ ფორმატში). 2020 წელს სამსახურმა საინფორმაციო შეხვედრა გამართა ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯთან, რომლის დროსაც, უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხთან ერთად, მსმენელები გაეცნენ ინფორმაციას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიმართულებების შესახებ.

სამსახურისთვის, ასევე, პრიორიტეტულია სამოქალაქო სექტორის, სამეცნიერო-აკადემიური და საექსპერტო წრეების აქტიური ჩართულობა უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების პროცესში.



საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ცალკეული ღონისძიებები უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან, პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და კომუნიკაციის შემდგომი გაღრმავების მიმართულებით.

ამ კუთხით აღსანიშნავია 2020 წელს გამართული თემატური შეხვედრა, რომელზეც მხარეებმა განიხილეს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე სამხედრო დაპირისპირება და მისი გავლენა საქართველოსა და რეგიონის უსაფრთხოებაზე. შეხვედრაში მონაწილეობდა 30-მდე ექსპერტი და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი.

## მდგრადობა და ინსტიტუციური განვითარება

სამსახურის მდგრადობისა და ეფექტური ინსტიტუციური განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სათანადო ინტელექტუალური რესურსის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა.

აღნიშნული მიმართულებით საანგარიშო პერიოდში სამსახური განაგრძობდა მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და რეფორმების, მათ შორის, სტრუქტურული, ორგანიზაციული და სამართლებრივი ცვლილებების განხორციელებას.

### ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი კადრების შენარჩუნებას, მათთვის კარიერული წინსვლის შესაძლებლობების შექმნას და პროფესიული პოტენციალის რეალიზებისთვის მაქსიმალურ ხელშეწყობას.

აღნიშნული მიზნით, საანგარიშო პერიოდში სამსახური განაგრძობდა პირადი შემადგენლობის კანონმდებლობით დადგენილი წესით წახალისებასა და მოტივირებას, მათ შორის იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ხშირად მოსამსახურეთა საქმიანობა გარკვეულ რისკებსა და საფრთხეებს უკავშირდება. 2020 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სხვადასხვა ფორმით წახალისა 300-მდე თანამშრომელი.

შრომის უფლების რეალიზების ჭრილში სამსახური მკაცრად იცავს დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის პრინციპებს ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ გენდერული თვალსაზრისით. უწყების მხრიდან შექმნილი იყო დასაქმების თანაბარი შესაძლებლობები და მაღალი სტანდარტების სამუშაო პირობები, მათ შორის, თანამშრომლები უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო სოციალური პაკეტით.

2020 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან აქტიურად მიმდინარეობდა ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით არსებული მექანიზმებისა და პროცედურების შემდგომი დახვეწა და გაუმჯობესება. კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსის მოზიდვის, განვითარებისა და შენარჩუნების მიზნით, საანგარიშო პერიოდში დაინერგა მოსამსახურეთა შერჩევის, შეფასებისა და მომზადება-გადამზადების ახალი სისტემა, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

სამსახურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებითად გადამუშავდა მისაღებ კანდიდატთა ტესტირების სისტემა (მათ შორის, სატესტო დავალებები), რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა კანდიდატთა ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარების შეფასება, კანდიდატის პროფესიული კომპეტენციისა და კვალიფიკაციის კონკრეტული პოზიციით (საშტატო ერთეულით) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა.

სპეციალურ დისციპლინებთან ერთად, სამსახური არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა დანაყოფების ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარებას. 2020 წელს სამსახურის ანალიტიკური გუნდი ჩართული იყო არაერთ სასწავლო კურსში, შეხვედრასა თუ კონფერენციაში. ქვეყნისა და რეგიონის წინაშე არსებული საფრთხეების, ისევე როგორც ახალი ტენდენციებისა და გამოწვევების, სრულყოფილი ანალიზის მიზნით, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებული ყურადღება უთმობდა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო-აკადემიურ და საექსპერტო წრეებთან ანალიტიკური მიმართულებით თანამშრომლობას. სამსახურის ანალიტიკოსებმა მოსაზრებების გაზიარებისა და პოზიციების შესაჯერებლად არაერთი შეხვედრა გამართეს სტრატეგიული პარტნიორების ცალკეულ წარმომადგენლებთან, ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებთან.

ამავე დროს, უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე ტენდენციებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 2020 წელს საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით (ვირტუალურ ფორმატში) გამართულ სასწავლო კურსებსა და გადამზადების პროგრამებს. ამ მხრივ, ხაზგასასმელია ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის ქვეყნების, ევროკავშირისა და ნატოს მხარდაჭერა.

### სასწავლო ცენტრი

ადამიანური რესურსების მართვის პროცესში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მოსამსახურეთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და მომავალი კადრების სათანადო მომზადებას. სწორედ ამ მიზნით, 2020 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შეიქმნა სასწავლო ცენტრი.

საანგარიშო პერიოდში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ახალი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მოეწყო სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისთვის.

საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულებით გამოცდილების გაზიარებისა და ცენტრის სამომავლო გეგმების გაცნობის მიზნით, გაიმართა შეხვედრები საქართველოს სახელმწიფო უწყებების სასწავლო დაწესებულებებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან. შემუშავდა სასწავლო ცენტრის სპეციალური პროგრამები, სასწავლო მასალები და მომზადდა განგრძობადი პროფესიული მომზადების კატალოგი 2021-2022 წლებისთვის. შეიქმნა თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია უსაფრთხოების თემატიკაზე გამოცემული სხვადასხვა უცხოური და ქართული ლიტერატურა.

ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო ცენტრის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტება და ინსტრუქტორთა შერჩევა, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების წრეებიდან, ასევე სამსახურის მოქმედი და ყოფილი თანამშრომლების პროფესიული რესურსების გამოყენების გზით.

წამყვანი ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემუშავდა სამსახურში მისაღებ კანდიდატთა სასწავლო და მოქმედ მოსამსახურეთა სპეცმომზადების პროგრამები. სამსახურში მისაღებ კანდიდატთა სასწავლო პროგრამის გავლა სავალდებულოა სამსახურში მისაღები ყველა კანდიდატისთვის. აღნიშნული პროგრამა, ერთი მხრივ, შესაძლებელს ხდის კანდიდატების პროფესიული უნარების და პიროვნული თვისებების შეფასებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სპეციალური დისციპლინების მიმართულებით მათ მომზადებას და სამსახურთან ადაპტირებას.

ამასთან, ყველა დამწყები მოსამსახურისთვის სავალდებულოა მოქმედი მოსამსახურეების სპეცმომზადების პროგრამის გავლა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დამწყები მოსამსახურეები სპეციალური დისციპლინების მეშვეობით ეუფლებიან საკვანძო კომპეტენციების ფართო სპექტრს და იძენენ უსაფრთხოების ოფიცირისთვის აუცილებელ იმ საბაზო პროფესიულ ცოდნასა და უნარებს, რომელთა შეძენაც მხოლოდ სამსახურის სასწავლო ცენტრშია შესაძლებელი.

### **მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსები**

სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირებისა და ინსტიტუციური მდგრადობისათვის აუცილებელია სათანადო ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მათი პერიოდული განახლება და გაუმჯობესება. აღნიშნულს უწყვეტად უზრუნველყოფდნენ სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

2020 წლის საბიუჯეტო სახსრებით უსაფრთხოების სამსახურის ეკონომიკურმა დეპარტამენტმა გააფორმა 390 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 20 732 487 ლარი. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად შესაბამის კომპანიებთან გაფორმდა 4 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ 722 383 ლარი შეადგინა.

2020 წლის საბიუჯეტო სახსრებით გამოცხადდა 179 ტენდერი, ხოლო ჩატარებული ტენდერებიდან ხელშეკრულება გაფორმდა 144 პრეტენდენტთან. ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად, ჯამში, ეკონომიამ 228 383 ლარი შეადგინა.